პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. დეპ. საბ.

ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთველის პრ. № 24 ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-ბეშე დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—38.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მიტანით—1 მან. 60 კ. კილომეტრ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ნერვიულებით ნომპაჟელის სტრიქონი. სამეფოთა-ჯა განცხადება 5 მან. ნგრე განცხადებები მთარიგ ნომერში მიიღება მხოლოდ ორ საათ.

№ 40 (892) კვირა, 17 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 40 (894)

ფინანსიური რეფორმა

საბჭოთა კავშირის ფინანსიური რეფორმა, მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის მიზნით, დაწყებული ჩერვონცების ემისიით, უახლოვდება თავის დასასრულს.

საბჭოთა ფინანსების მოუწესრიგებლობის პირობებში, როდესაც ბონების საბეჭდი მანქანა შეუჩერებლად ტრიალებდა და ისვრიდა ბაზარზე ქაღალდის ფულებს, ჩერვონეცი შეიპრა როგორც მტკიცე ერთეული და წესრიგი შეიტანა ბაზრის მოქმედებაში. ეს იყო პირველი საფეხური საბჭოთა კავშირის ფინანსიური რეფორმის და მას შემდეგ შესაძლებელი გახდა სამეურნეო ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში მოქცევის აუცილებელი პირობების შექმნა.

როგორც შინაური, ისე საგარეო ბლებ-მიცემობას მოეყენა ერთნაირი მომწესრიგებელი, საბჭოთა ფული ეფექტიც გაძლიერდა, მან დაიპყრო ნდობა და გავლენა კავშირის შიგნი და მის გადაღმა, უცხოეთის ბაზარზე.

შემდეგი საფეხური ამ რეფორმის მდგომარეობს ხურდა ჩერვონეცის გამოცემაში, ე. წ. სახაზინო ნიშნების გამოშვებაში ბაზარზე (5, 3, 1 ჩერ. მანეთიანები) და ვერცხლის ფულის მოჭრაში. ორივე ამ მუშაობას აწარმოებს დღეს სახელმწიფო. ის გამოუშვებს ოგრედვე ოქროს ჩერვონცებს მომავალი წლიდან. მზადდება ოგრედვე სახაზინო ნიშნები 1, 3, 5, 20 და 50 კაპიკის ღირებულების. შეჩერებულია ქაღალდის ფულის გამოშვება. ის რაოდენობა ამ უკანასკნელის, რომელიც ტრიალობს და სჭარბობაშია კიდევ, თანდათანობით ამოწურული იქნება ბაზრიდან. ექსპედიციებში დაწყობილი კი იქნება მოსპობილი. ამ გადაწყვეტილებით დასაწყისი ეძლევა ახალ ხანას ჩვენი ფინანსიური ცხოვრებისას, როდესაც მეურნეობა მკვიდრ ნიადაგზე იკიდებს ფეხს და გადაჭრით სდგება გაბატონების გზაზე. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული ქვეყნების (მაგ. საფრანგეთი) ფულის ნიშნები ძალზე ტრაეციან და ზოგან (როგორც მაგ. გერმანიაში) სრულიად ფას დაკარგული არიან.

საბჭოთა მეურნეობამ, სოფლისა და ქალაქის განვითარებისა და გაძლიერების გზაზე შემდგარმა მეურნეობამ დაანახა ყველას თავისი ძალა. მშრომელთა ხელისუფლებამ, მიუხედავათ მძიმე პირობებისა, რომლებიც მას შეუქმნა ომებმა, შიგნი და გარეთ, მიუხედავათ ეკონომიურ-ფინანსიური ბლოკადისა, რომლის რკალში ჩვენი კავშირი დღემდე უყვდა მომწყვდეული ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს — ამ ხელისუფლებამ შესძლო მოეწესრიგებია ეკონომიური ცხოვრება და შეექმნა მისთვის საიმედო ბაზა განვითარებისა.

და რაც დრო გავა მით უფრო გამაგრდება ჩვენი ეკონომიკა, მით უფრო აიძულებს ჩვენი კავშირი უცხო სახელმწიფოებს ანგარიში გაუწიონ მას, იცნონ ის როგორც აუცილებელი ფაქტორი მსოფლიო ბლებ-მიცემობის. იურიდიულად ცნობა საბჭოთა კავშირისა უკვე სამი დიდი სახელმწიფოს მხრივ, რომლებსაც, ეუნს გარეშეა, გაჰყვებიან დანარჩენებიც, მაჩვენებელია სხვათა შორის ჩვენი ფინანსიურ-ეკონომიური გაძლიერებისა ისევე, როგორც ჩვენი პოლიტიკური წონის გადიდებისა მსოფლიოს მასშტაბით.

ამნაირათ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი თავის ადგილს იჭერს მსოფლიოში და წინ მიაჭანგს შრომის განთავისუფლებისა და ბურჟუაზიის დამხობის საქმეს. ჩვენი ფინანსიური რეფორმა, ის ნდობა, რომელთაც ეგებება მას ქვეყანა, არის ერთი მჭერმეტყველი მაჩვენებელი ამ საქმის განვითარების და საწინდარი მისი საბოლოო გამარჯვების.

ინტელიგენცია და საბჭოთა ხელისუფლება

1. ინტელიგენციის როლი გარდამავალ პერიოდში

ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო დებულება, რომელიც დაგვიტოვა ამხ. ლენინმა ანდერძად პროლეტარიატის დიდი მისიის კეთილად შესრულების საქმისათვის, მდგომარეობს არა კომუნისტურ ელემენტების და განსაკუთრებით კი ინტელიგენციის ფართოდ გამოყენების საჭიროებაში საბჭოთა მშენებლობის მტკიცე საფუძვლებე დასაყენებლად

1922 წ. ივნ. „მარქსიზმის დროშის ქვეშ“ მოთავსებულ ერთ თავის წერილში ამხ. ლენინი ამბობდა: „ერთი უდიდესი და სახიფათო შეცდომა კომუნისტებისა (როგორც საერთოდ რევოლიუციონერებისა, როდესაც რევოლიუციის დასაწყისი) მდგომარეობს იმ წარმოდგენაში, თითქოს რევოლიუციის მოხდენა შესაძლებელი იყოს მარტო რევოლიუციონერთა საშუალებით. პირიქით, ყოველგვარი სერიოზული რევოლიუციონური მუშაობის წარმოებისათვის საჭიროა გაგება და განხორციელება იმისა, რომ რევოლიუციონერებს შეუძლიათ ითამაშონ როლი მარტოდენ როგორც ავანგარდს ნამდვილად ცოცხალი და მოწინავე კლასისას. ავანგარდი მხოლოდ მაშინ ასრულებს ავანგარდის დანიშნულებას, როდესაც მას შესწევს უნარი არ მოსწყდეს იმ მასას, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს და ნამდვილად წინ მიყავს. არა კომუნისტებთან კავშირის გარეშე მოლაპარაკების ხელოვნების დარეში, არავითარ ჯანსაღ კომუნისტურ აღმშენებლობაზე არ შეიძლება ლაპარაკი“.

აქ არის გამოთქმული ერთი ძირითადი დებულება პროლეტ. დიქტ და მისი ამოცანების სოციალისტურ მშენებლობის დროს: რევოლიუციონური პარტია უნდა გახდეს ხელმძღვანელი, მმართველი და შინაარსის მიმცემი არსებულ მოძრაობისა, მაგრამ მან თავისი პოლიტიკა იმგვარად უნდა მიმართოს, რომ ფართო მასების და არა კომუნისტური ელემენტები ჩაითრიოს ამ მშენებლობის პროცესში და გახდეს ისინი აქტიური მონაწილენი სოციალისტური გარდაქმნისა. აქედან პროლეტარული პარტიისათვის თავის თავად გამომდინარეობს მორიგ ამოცანად დაპყრობა ფართო მასებისა და ინტელიგენტური ძალების და მათი თავისი გავლენის ქვეშ დაყენება.

მართალია, როდესაც ბურჟუაზიამ დაიპყრო მსოფლიოში პოლიტიკური ძალა-უფლება, მას არ დასჭირვებია დიდი შრომა სამეურნეო ცხოვრების გარდასაქმნელად: თვით ფეოდალიზმის წიაღში, ეკონომიურ ძალთა განვითარების წყალობით, ჩაისახა და განმტკიცდა კაპიტალისტური მეურნეობა, რომელმაც ძველი წყობილების საშოში დაიპყრო ეკონომიური ცხოვრების მთავარი სიმაღლეები.

სულ სხვა მომენტებით ხასიათდება სოციალისტური რევოლიუცია და გარდამავალი პერიოდი. კაპიტალიზმის წიაღში არ ჩასახული სოციალიზმი და თავისი ბუნებრივი მსვლელობით არ შექმნილა ახალი სამეურნეო ურთიერთობა ძველის საშოში. აქ მხოლოდ მასალა მზადდება სოციალისტური მეურნეობისათვის, მაგრამ თვით სოციალიზმი კი ჯერ კიდევ არ არსებობს; აქ მხოლოდ ნაწილები და მატერიალური დოვლათი არის უსისტემოდ გაფანტული, რომლისაგანაც შესაძლებელია მოქნილი ხელის წყალობით ახალი სამეურნეო წყობილების შექმნა; აქვე არის ის ოსტატი (პროლეტარიატი), რომლის ისტორიულ დანიშნულებას შეადგენს კაპიტალისტური ნაწილებისაგან სოციალისტური წყობილების აშენება.

აქედან გამომდინარეობს ის მეორე განსხვავება, რომელიც არსებობს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის წარმოშობის შედარების შორის: როდესაც ბურჟუაზიამ ხელისუფლება დაიპყრო, მას უკვე დახვედა განხორციელებული ფორმა კაპიტალისტური მეურნეობისა და ამიტომ მას დასჭირდა მხოლოდ ფეოდალური წყობილების პოლიტიკური ხელდაშენის გარდაქმნა, ეკონომიურმა ცხოვრებამ კი თავისით მოხსნა თავისი ხელმძღვ ნელები, მეთაურები და გაანგარო ძველი გზით მსვლელობა. პროლეტარიატს პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობასთან ერთად უხდება არა მარტო ძველი პოლიტიკური წყობილების ახალ საფუძველზე გარდაქმნა, არამედ ძალდატანების, დიქტატურის საშუალებით მთელი სამეურნეო ცხოვრების ახალ ნიადაგზე აშენება. აქ ყოველ დარგში, ყოველ სფეროში შუშურ-გლეხური ხელისუფლება იძულებულია ძველი წყობილების საფუძვლები მაგარის ხელების არავითის და მისი ელემენტებისაგან შექმნას, გამოსჭიდოს ახალი სოციალისტური ურთიერთობა. კაპიტალისტური წყობილებიდან სოციალისტურის შექმნა „შეიძლება განხორციელდეს საკუთრების უფლებასა და ვარჩოების მუშაობაზე ურთიერთობაში მხოლოდ დიქტატურის ჩარეგით“ („კომ. მანიფ.“ სიტყვებია). ამით აწყება ის პერიოდი, რომლის შესახებაც მარქსი გარკვეულად სწერდა თავის „გოთის პროგრამის კრიტიკაში“ და რომლის ძირიანი რევიზია უკვე მოახდინა მეორე ინტერნაციონალის მთავარსარდალმა კ. კაუცკიმ თავის უკანასკნელ წიგნში მენშევიკების პროგრამის შესახებ. „გოტის პროგრამის კრიტიკაში“ მარქსი ამბობდა: „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებათა შორის ძევს პერიოდი რევოლიუციონური გარდაქმნის პერიოდის შორიდან. ამ პერიოდს ეთანაბრება პოლიტიკური გარდამავალი პერიოდიც, და სახელმწიფო ამ პერიოდისა შეუძლებელია იყოს სხვა რამ, გარდა პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურისა“. ასეთი რევოლიუციონური გარდაქმნა კაპიტალისტური საზოგადოებისა კომუნისტურ საზოგადოებად პროლეტარიატისაგან თხოულობს დიდს შრომას, დიდ ენერგიასა და მასთანვე დიდ ცოდნასაც.

მუშათა კლასის ტრაგედიაც სწორედ ის არის, რომ ის მოუმზადებელი მოხვდა ცხოვრების სათავეში. როდესაც ბურჟუაზიამ გამოსტაცა ხელიდან ძალაუფლება ფეოდალურ არისტოკრატიას, იგი შედარებით უკანასკნელთან კულტურულად მაღლა იდგა. ბურჟუაზიასთან შედარებით პროლეტარიატი დაბალ სულგან-კულტურული განათლების მხრივ: მისი სოციალური მდგომარეობა არ აძლევდა მას საშუალებას გემაღლებინა თავისი კულტურული დონე და წინ გაეწია წრო ბურჟუაზიისათვის. ბურჟუაზიამ წარმოშვა საუკეთესო ტეხნიკოსები, იურისტები, ადმინისტრატორები, მასწავლებლები, დიპლომატები, ფინანსისტები, სამეურნეო დარგის მოღვაწენი. პროლეტარიატი ამ მხრივ ღარიბია, მას ესმის, რომ პოლიტიკური ძალაუფლება უნდა გაღლის ზედა, მაგრამ არ აქვს დიდი ცოდნა და გამოცდილება ახალი ცხოვრების ასაშენებლად, არ ყავს გამოცდილი სპეციალისტები ამისათვის. პროლეტარიატი მხოლოდ ახალი წყობილების მშენებლობის პროცესში იძენს ცოდნასა და გამოცდილებას, ქმნის პროფესიონალურ პროლეტარულ მოღვაწეებს ცხოვრების ყოველ დარგში. ეს კი მოითხოვს დიდ დროს. მაგრამ ეკონომიკასა და ტეხნიკის ერთს უმთავრეს ღერძს „სპეცი“ შეადგენს და გარეშე ამ სპეციასა ცხოვრების გარდაქმნა და ახალს საფუძველზე წარმატებით მოწყობა შეუძლებელია: „როგორც აღვნიშნეთ, „სპეცი“ ცხოვრების ყოველ დარგში ბურჟუაზიის მონოპოლიას წარმოადგენს და პროლეტარიატი დროებით მოკლებულია მას.

აი, ამიტომ ხდება აუცილებელი ბურჟუაზიის მიერ აღზრდილი და მათ—წიაღიდან გამოსულ „სპეციებით“ სარგებლობა და მათის დახმარებით ახალი წყობილების შენება. ამაში არის ჩამარხული მთელი გენიალური სიბრძნე ამხ. ლენინის სიტყვებისა „ძველ კომუნისტებთან კავშირის გარეშე მოლაპარაკების წარმოების სხვადასხვა დარგში ახალ ეკონომიურ ჯგუფებზე კომუნისტის აღმშენებლობაზე დაბრკოლება ჰქონდეს ადგილი“. ამიტომ იდგა და დღესაც სდგას საბჭოთა ხელისუფლებისათვის პირველ რიგში დაპყრობა „სპეციებისა“ და ინტელიგენციის და მათი პროლეტარიატის გავლენის ქვეშ დაყენება.

ის გარემოება, რომ ინტელიგენცია, როგორც ცხოვრების უკეთ მცოდნე ელემენტი, საკმაოდ მოზრდილ როლს ითამაშებდა გარდამავალ პერიოდის პირობებში, ეს გარემოება საეჭვოებით გათვალისწინებული ჰქონდათ მარქსსა და ენგელსს.

როგორც ვიცით, მე-19 საუკ. მიწურულში ენგელსი მოელოდა პროლეტარიატის გამარჯვების შურუალიზმის გერმანიაში ამის შესახებ ერთს სახელმძღვანელო წერილში 1891 წ. ენგელსი შემდეგს სწერდა ბებელს: „ამისათვის, რომ დავიპყროთ ხელისუფლება და ავამოქმედოთ ის, გვჭირდება ტეხნიკურად მომზადებული ადამიანები და მრავალი ამისთანა ხალხი. ასეთი ხალხი კი ჩვენ არ გვყავს. ჩვენ უკანასკნელ დრომდე გვიხაროდა კიდეც, რომ თავისუფალი ვართ ეგრედ წოდებული „განათლებული“ ხალხისაგან. ახლა სულ სხვა საქმეა. ჩვენ დღეს საკმაოდ ძლიერნი ვართ, რომ შევძლოთ განათლებული ხალხის მოზიდვება, რამდენიც უნდა იყოს. მე ვხედავ, რომ მაბლობელ 8—10 წ. განმავლობაში ჩვენ ბლომად მოგვემრობიან ახალგაზრდა ტეხნიკოსები, ექიმები, იურისტები, მასწავლებლები, რათა ჯანსაღის და მხნედ მაზიდვების მმართველობა პარტიულ ამბანაგების ხაშუალებით მოგვეყოთ ერის საჭიროებისათვის. ამ შემთხვევაში ხელისუფლების მიღება სრულიად ნორმალურად მოხდება და საქმე შედარებით უმტკივნეულოდ და კარგად ჩატარდება“. („იხ. „წერილები“ გვ. 339, 1923 წ.).

ენგელსის ეს წერილი გარკვევით ალნიშნავს: 1) განათლებულ ხალხის დიდსა და აუცილებელ როლს პროლეტარიატის ბატონობის პირობებში, 2) პარტიის მხრით მუშაობას პარტიულ განათლებულ კადრის შესაქმნელად ისე, რომ ეს ხალხი მოხვარშოს პარტიულ აპარატში და არ გადაიქცეს ხელმძღვანელად, არამედ დიმორჩილოს პროლეტარიატის დირექტივას. ენგელსის სიტყვით ეს ნიშნავს „განათლებული ხალხის მოწვევებას“; 3) ცხოვრების ყოველი დარგი აუცილებლად უნდა მოეწყოს „პარტიულ ამხანაგების საშუალებით“, მათი ხელმძღვანელობით.

ასეთი არის ის ძვირფასი ანდერძი, რომელიც თავის მემკვიდრე რევოლიუციონურ თაობას გადმოსცა მარქს-ენგელსმა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში „განათლებულ ხალხის“ როლისა და მისი გამოყენების პირობების შესახებ.

ხ. ხ.

პარიზი და მოსკოვი

2. ძალთა დაპირისპირება

ოქტომბრის რევოლიუციით საზღვარი დაედო პარიზის ბატონობას მოსკოვზედ. მოსკოვმა ერთხელ და სამუდამოდ შესწყვიტა პარიზის დავალებათა შესრულება. 25 მილიარდი მარკა, რომელიც საფრანგეთმა ჩაყარა რუსეთში, დარჩა გაუნაღდებელი. რუსეთი, როგორც ნახევრად კოლონია, ხელიდან გაუსხლტა იმპერიალისტურ საფრანგეთს. ამ დროიდანვე იწყება პარიზის გამორღვევება და შეურიგებელი ჰოზიცია მოსკოვის მიმართ. 1919 წელს, 21 იანვარს, კლემანსო უმაღლეს საბჭოში ინგლის-ამერიკის წინადადების წანაალმდეგ, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ საბჭოთა რესპუბლიკების საკითხში საფრანგეთის პოლიტიკას, გაიძახოდა—როგორ შეიძლება დამნაშავეთა ჩარიცხვა ჩვენს რიგებშიო.

მართლაც რომ ბურჟუაზიის თვალსაზრისით უდიდესი დანაშაული, უსაშინელესი ბოროტმოქმედება ჩაიდინა ლენინმა საფრანგეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ. მან ბოლო მოუღო რუსეთის ხალხის უაზრო შრომასა და ბრძოლას ამ იმპერიალისტების სასარგებლოდ.

საფრანგეთს კარგად ესმოდა და ესმის, რომ საბჭოთა რუსეთი და საბჭოთა რესპუბლიკები ნიშნავს, არა მარტო რუსეთის დაკარგვას, არამედ ეს ნიშნავს დიდ საფრთხეს დასავლეთში და განსაკუთრებით აღმოსავლეთში პარიზის კაბინეტის იმპერიალისტური პოლიტიკისათვის. პარიზისათვის ერთად ერთი მისაღები გზა საბჭოთა კავშირისადმი ძალთა დაპირისპირება გახდა, რომლის შედეგი უნდა ყოფილიყო უკანასკნელის განადგურება, ისევ კოლონიალურ მდგომარეობაში ჩაყენება და ფართე გზის გაკაფვა დასავლეთში და აღმოსავლეთში პოლიტიკური ავანტიურიზმისათვის.

ამ პოლიტიკურ პროგრამის მკაცრად იცავდა პარიზის კაბინეტი. მას არც ერთხელ არ გადაუხვევია ამ გზისათვის. ამიტომ იგი იყენებდა ყოველ ძალას საბჭოთა რესპუბლიკების წ. ნაალმდეგ.

წინეთ საფრანგეთი მომხრე იყო მეფის რუსეთს შეერთებოდა მთელი პოლონეთი. ამით მისი მონის საშუალებით გაძლიერდებოდა. შემდეგ კი საფრანგეთი მომხრე გახდა პოლონეთის დამოუკიდებლობის, რომელიც მას გამოადგებოდა ერთი მხრივ რუსეთისა და გერმანეთის მოძრაობის ბუფერად, ხოლო მეორე მხრივ ორივე ქვეყნის წინააღმდეგ აქტიურ საბრდო მოქმედების ბაზად.

ამიტომ საფრანგეთმა ხელი გაუწოდა პოლონეთს. მილიარდები მიაწოდა მას. ფულს თან დაურთო სამხედრო იარაღებისა და ჯარის ხელმძღვანელთა მიწოდებაც.

საფრანგეთმა დიდი დახმარება გაუწია ვრანგელსაც. მან 200 მილიონი ფრანკი დაახარჯა ვრანგელის ჯარს, მისცა იარაღი, ხოლო დამარცხებისას თავისი გემებით გაიცურა ოსმალეთისაკენ.

პარიზის კაბინეტმა გამოიყენა ყოველი ძალა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. დენიკინი, ვრანგელი, პოლონეთი, რუმინეთი, ცდა ოსმალეთის საშუალებით ბაქოს ხელში ჩაგდების, გენუას კონფერენციაზედ ბენშევიკური მთავრობის დაცვა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, სომხეთის დროს რეაქციონური ორგანიზაციების მოწყობის გეგმა და სხვა და სხ.

საფრანგეთმა დიდი მსხვერპლი გაიღო რეაქციონური ძალების დახმარებაში. მისი ბიუჯეტის დიდი ნაწილი სამხედრო ანგარიშებისათვის საჭირო ხარჯებს შეადგენდა. როგორც ვიცით, მან მართალია საკმაოდ შესძლო ევროპის მასშტაბით პოლიტიკური ჰეგემონობის მოპოვება და ინგლისის გავლენის შესუსტება, მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს; ინტერვენციამ, შინაურმა რეაქციონურმა ძალებმა, რომლებსაც უხვად ქვეყანებად საფრანგეთი, ვერ მიაღწიეს მიზანს. საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური დამონება არ მოხერხდა არც „ლეგალური“ გზით, სხვადასხვა კონფერენციებზე (გენუა და სხვა).

როგორც ვიცით, საფრანგეთი აქ ერთხელ კიდევ, შეეცადა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგი პოზიციის გამაგრებას. მართლაც საფრანგეთმა შესძლო მთელი წლების განმავლობაში თავისი შეურიგებელი პოზიციის ჩატარება და მოკავშირეთა ჩათრევაც ამ პოლიტიკაში.

რასაკვირველია, საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობის სფეროში ისეთივე შეუღრეკელი ტ შეურიგებელი მოწინააღმდეგე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ლონდონი და რომი, როგორც პარიზი.

პარიზი დაკარგულ ნახევარი კოლონიის აღდგენისათვის მუშაობდა. მას სურდა თავის მილიარდების აღება და ძველი მდგომარეობის დაბრუნება, ლონდონი კი, როგორც უმთავრესად ვაჭრობა მრეწველობის ქვეყანა, დაინტერესებული იყო ეკონომიური ურთიერთობით საბჭოთა რესპუბლიკებთან ლონდონის მიზანი იყო და არის ნორმალური სამეურნეო ცხოვრების დაწყება, რომ ამით მან ისევ შესძლოს ერთი მხრივ გაძლიერებული ამერიკის შეერთებული შტატების მეტოქეობა, რომლის ძლიერება მან კარგად იგრძნო ვაშინგტონში, ხოლო მეორე მხრივ საფრანგეთის გავლენის შესუსტება ევროპაში.

პარიზის ბურჟუაზია ნგრევის პოლიტიკას აწარმოებს. მთავიის საკონფერენციებზე გერმანიის დანგრევა, რომ დიდხნობით თავიდან მოიშოროს მისი მეტოქეობა. მისთვის საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკების დაცემაც, რომ გაინადგუროს ვალი და დაიბრუნოს ეს ქვეყნები თავის საკუთრებად. ეს უკანასკნელის მიზანი კი ძნელი მისაღწევი გახდა.

დღეს უკვე საფრანგეთის შეურიგებელი პოლიტიკა, საბჭოთა რესპუბლიკებისადმი ძალთა დაპირისპირების ლოზუნგი, აღარ არის მოკავშირეთა მიერ გამაგრებული. ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა საბჭოთა რესპუბლიკებს საკითხში ანტანტის სახელმწიფოთა შორის, დღეს თავის გამობატულებას პოულობს ინგლისისა და იტალიეთის საგარეო პოლიტიკაში ჩვენს ძიმართ. ამით ირღვევა ფორმალურადაც მოკავშირეთა მთლიანობა.

რეალურმა ინტერესმა ძლია გაბრაზებული საფრანგეთის სარევანშო მიზნებს, ინგლისი და იტალია საბჭოთა რესპუბლიკებთან ნორმალურ ურთიერთობას აწარმოებს. ამიერიდან რამდენათაც მეტს იჯიუტებს პარიზი, იმდენად მეტს წააგებს, მის პოლიტიკას დღეს რევიზია ესაჭიროება.

ამრიგად, „პუანკარე—ომის“ შეურიგებლობა მისთვის არახელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში მოიქცა. პარიზს აღარ შესწევს ძალა ძველი გზით განაგრძოს სიარული მოსკოვის მიმართ. პარიზის პოლიტიკური წრეები და პრესა დღეს იძულებულია სხვა გზას დაადგეს, სხვა გამოსავალი ეძებოს. შეიძლება პარიზმა ყველაზე უკანასკნელად აღიარონს მოსკოვი, მაგრამ მან ის მაინც უნდა აღიაროს.

ხერ. ამალდოვი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკრ იხგა“-ს ცნობები)

მუშათა მოძრაობა გერმანიაში ძლიერდება

რურის ოლქის და რეინ-ვესტფალიის რაიონებში 9 საათის სამუშაო დღის შემოღების გამო პროტესტის ნიშნათ გაიფიცენ რკინისგზელები.

ტიურინგიის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა კომუნისტური დემონსტრაციები. პოლიციამ დემონსტრანტები გარეკა ასეთივე დემონსტრაციები გაიმართა საქსონიის ქალაქებშიც.

კომუნისტური პარტიის გავლენა მუშებს შორის ძლიერდება.

ბოხუმში მელიორნეთა კავშირის გამგეობის არჩევნების დროს უმრავლესობა კომპარტიის კანდიდატებმა მიიღეს.

საიმპერიო მთავრობამ გააუქმა საგანგებო წესები, მაგრამ იმუშავებს ზომებს კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ.

ფიქრობენ, რომ საგანგებო წესები გაუქმებული იქნება ბავარიაშიც.

მუშები იგრძვიან

დემონსტრაციები და დატუსაღებანი.

ბერლინი. 14 თებერ. ტიურინგიის მთელ რიგ ქალაქებში მოხდა კომუნისტური დემონსტრაციები, პოლიციამ ერეკებოდა დემონსტრანტებს რეზინის ჯოხებით. გამოწვეულია რეიხსვერის რაზმი და დატუსაღებულია მრავალი დემონსტრანტი.

დემონსტრაციები შესდგა აგრედვე საქსონიის ქალაქებში: პირნში, შვეიცნში და მეკლენბურგში. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები. საქსონიის ლანდტაგის კომუნისტური დეპუტატი ვენცელი განთავისუფლებულია ციხიდან.

მუშები მოითხოვენ საბრთო ვაჭრობას.

ბერლინი. 14 თებერ. რეინ-ვესტფალიის მთელ რიგ ქალაქებში რკინისგზელების პროტესტის ნიშნად 9 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ დეკ გამოაცხადეს საერთო გაფიცვა.

რურის ნახშირის მრეწველობის რაიონის სხვადასხვა კუთხეებში გაფიცულმა სამთამადნო მუშებმა მოათხოვეს საერთო გაფიცვის გამოცხადება, მაგრამ ამის წინააღმდეგ იღაშქრებენ პროფკავშირები.

კომუნისტების გავლენა იზრდება

კომუნისტებზე ბანაგართლეის შედეგი.

ბერლინი. 13 თებერვალი. მიუნხენის სახალხო სასამართლოში ორი წლის ციხე მიუსაჯეს კომუნისტ-რკინისგზელებს, რომელთაც ბრალი დასდეს მავარიელ ფაშისტების საქსონიაზე გალაშქრების შეფიერხებაში. კომუნისტები განაჩიხს შეხვდენ ხმებით: „გვამცნოს“.

მუშების დემონსტრაცია სასამართლოს შენობის წინ გარეკა პოლიციამ.

კომუნისტების ბანაკრძვება.

ბერლინი. 14 თებერვალი. დრეზდენში ხის დამმუშავებელთა აღგილობრივ კავშირის გამგეობის არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 850 ხმა, კომუნისტებმა —810.

ბოხუმში მელიორნეთა კავშირის გამგეობის არჩევნების დროს კომუნისტებმა ხიან მოაგროვა ხმების უდიდესი ნაწილი.

ფინანსიური „რეფორმები“

იძულებითი განკარგულების შესახებ გამო.

ბერლინი. 14 თებერვალი. მთავრობამ გადაწყვიტა მიიღოს აქტი ახალი გადასახადების შესახებ იძულებით განკარგულების გზით უფლებების გაფართოების კანონის თანახმად, რომლის ვადა თავდება დღეს. მთავრობის გადაწყვეტილება მიღებულია მიუხედავად ყველა პარტიების გაელაშქრებისა იძულებით განკარგულების წინააღმდეგ. პარტიები მოითხოვდენ საკითხის გადაწყვეტას ჩვეულებრივ საკანონმდებლო წესით.

სოციალ-დემოკრატიული პრესა აცხადებს პროტესტს იძულებითი განკარგულების წინააღმდეგ.

19 თებერვალს შეიკრიბება რეიხსტაგის სოციალ - დემოკრატიული ფრაქცია, რომელიც გადასწყვეტს საკითხს საჭიროა თუ არა შეტანილ იქნას წინადადება იძულებითი განკარგულების გაუქმების შესახებ.

მადლობა ჯალათს

საბერძნეთის წესების მოხსნა და საბანგებო კანონი კომუნისტების წინააღმდეგ.

ბერლინი. 14 თებერვალი. სექტემბერტს მ. მართა წერილით, რომელშიაც ხაზს უსვამს მთავრობის ავტორიტეტის აღდგენას და წინადადებას იძლევა მოხსნილი იქნეს საბერძნეთის წესები.

ეპერტმა თანხმობა განაცხადა ამაზე და მადლობა, გამოუცხადა სექტს და რეიხსვერს მშვიდობიანობის და წესრიგის აღდგენისათვის ქვეყანაში და ამასთანავე საკითხები საბერძნეთის მოხსნისა და საგანგებო დონისძიებების შემოღების შესახებ კომუნისტების წინააღმდეგ გადასცა განსაბილველად სათანადო მინისტრებს. ამრიგათ, ერთის მხრივ გაუქმებულია საბერძნეთის წესები, მეორეს მხრივ კი იმუშავებენ საგანგებო კანონს კომუნისტების წინააღმდეგ.

დემოკრატიული პრესა ესალმება საბერძნეთის წესების მოხსნას, მემარჯვენე პრესა კი პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ, რადგან ის ფიქრობს, რომ საბერძნეთის წესების მოხსნას მოყვება ახალი ბუნჯებები და მარკის კურსის კიდევ უფრო დაცემა.

დაპყრობილ ოლქებში

საბერძნეთის წესები ვიესბადენში.

ბერლინი. 15 თებერვალი. რეინლანდის საერთაშორისო კომისიამ გადასწყვიტა დაიწყოს პროცესი პალატინატში მომხდარ უკანასკნელ ბუნჯების მეთაურთა წინააღმდეგ. დაარსებულია შერეული კომისია, რომელშიაც შედიან ერთი ფრანგი, ერთი ბელგიელი და ერთი ინგლისელი ოფიცერი. ამისთვის, რომ მოხდეს წესრიგის აღდგენა პალატინატში, გერმანიის პოლიციას დაუყენებულია ამ კომისიის კანტროლის ქვეშ. რეინლანდის კომისიის დელეგატმა პარმაზენში გაგზავნა დამხმარე ჯარები და გამოაცხადა იქ საბერძნეთის წესები.

სოფრანგეთის ხელისუფლებამ წინადადება მისცა სუპერატ-ტულ დელეგატებს თავი შეიკავონ შემდეგი მომქმედებისაგან.

სუპერიტისტებმა დასტოვეს ცვეიბრიუკენი და პალატინატის სხვა ქალაქები.

ინტელიგენციის და საბჭოთა ხელისუფლების საკონტროლო კომისიების საქმიანობა თათბირი

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მუშა-გლეხთა ინსპექციის და სანკტროლო კომისიების ახალ სფუძველზე რეორგანიზაციის შემდეგ გავიდა ერთი წელიწადი. ჩატარებულ მუშაობის შედეგების ჩამოსაყალიბებლად და მომავალი მოქმედების მიმართულების დასასახავად მოსკოვში მოწვეული იყო ამ ორგანოების საკავშირო თათბირი. თათბირის მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა საბჭოთა ორგანიზაციისათვის, რამდენათაც ის მიმართულებას აძლევს საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიზმის მოსპობისკენ და მის იმგვარად დაყენებისაკენ, რომ ყოველმხრივად აკმაყოფილებდეს ის მუშების და გლეხების საჭიროების და მოთხოვნილებას.

თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. კუიბიშევმა, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ჩვენ მივიღეთ ძველ მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატი, რომელიც რევოლიუციით ოდნავთ შეიცვალა, ისიც ხხოლოდ სათავეში დარჩა ძველებური მუშაობის მეთოდები. ჩვენ ახალ სახელმწიფოში აპარატი არ წაგვიყვანია ძველს ისე, როგორც სახელმწიფო აპარატი. ბიუროკრატიზმი, დაუდევარი მოქცევა მუშების და გლეხების საჭიროებისადმი, პირდაპირი ბოროტმოქმედებანი—ყველაფერი ეს ჩვეულებრივი მოვლენა არის ჩვენს აპარატში. მაგრამ ერთი ხელის დაკვრით ვერ გამოსწორდება აპარატის ყველა დეფექტები. ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი თანდათანობითი მუშაობა. სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის ამოცანასთან დაკავშირებულია კომუნისტებისათვის წარმატებითი ბრძოლა, რაც მოითხოვს პირველს და ჯერ-ჯერობით ერთად ერთ საბჭოთა რესპუბლიკის შენარჩუნებას და განმტკიცებას. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნა განსაზღვრული დამოკიდებულება—კავშირი გლეხების და მუშათა კლასის შორის, ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით. ამ კავშირისათვის კი თავიარ როლს თამაშობს სახელმწიფო აპარატი. გლეხობის და მუშების კავშირის შენარჩუნების გარანტია კარგი სახელმწიფო აპარატია.

მოსკოვი, 8 თებერვალი.

გავარიაში

სააღყო წესების გაუქმება.

ბერლინი. 14 თებერვალი. მიუხედავად მიღებულ ცნობების თანახმად, ბავარია, აღბად, იძულებული იქნება წაბაძოს ბერლინის მაგალითს და მოხსნას საალყო წესები. როგორც ჩანს ამ საკითხში მოხდა შეთანხმება მარქსის და კნილინგის მთავრობებს შორის, რათა თავიდან იქნას აშორებული ახალი კონფლიქტი საერთო გერმანიის მთავრობასა და ბავარიას შორის.

დანიშნულია დათხოვნა და ახალი არჩევნები.

ბერლინი. 14 თებ. ბავარიის ლანდტაგის ფრაქციათაშორისო კრებამ გადაწყვიტა დაითხოვოს ლანდტაგი 31 მარტს. ახალი არჩევნების ვადა დანიშნულია 6 აპრილისათვის.

სეპარატისტული მოძრაობა

რომი. 15 თებერვალი. ვოლფის სააგენტოს ცნობების თანახმად, კონფლიქტი პარლამენტში მოხდა იმის გამო, რომ სეპარატისტებმა უარი თქვეს მოლაპარაკების დაწყებაზე.

გერმანიის გაზეთები პასუხისმგებლობას ამ ინციდენტისათვის და ავრეთვე **პალატინატის სხვა ქალაქებში მოსხდარ ხასხლისმღვრელ შეტაკებებისათვის, აკისრებენ ხაფრანგეთის ხელისუფლებას, რომელმაც, მიუხედავად მოსახლეობის უმ-**

სრავდელობის ხურვილისა, მხარი დაუჭირა შეიარაღებული ძალით სეპარატისტულ მოძრაობას.

უმძიმესმა კომპლიკაციამ ერთხმათ დაადგინა გაგზავნოს პალატინატში სპეციალური კომისია, რომელმაც ზომები უნდა მიიღოს საზოგადოებრივ წესრიგის აღდგენისა და საზოგადოებრივ დაწესებულებების ნორმალურ მოქმედების უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

იტალია: საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას გადასცეს რუსეთის საელჩოს შენობა რომში.

ზოგიერთი ძვირფასი ნივთები შენობაში მოუპარავს მეფის უფროსელჩის შენობა რომში.

შვეიცია: გაზეთი „პოლიტიკენ“ სწერს, რომ „სახელმწიფოები ერთი მეორეს ასწრებენ საბჭოთა კავშირის ცნობაშიო“.

ნორვეგია: გაზეთი „არბაიტერ ბლადეტ“ სწერს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა მუშათა პარტიის გამორჯვებას ნიშნავსო.

საფრანგეთში: საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა მთავრობის კარნახით ავრცელებს ხმებს, რომ საბჭოთა კავშირი მგრუელთ ბრის განწყობილი საფრანგეთისადმიო.

საერთაშორისო.

კუანკარეს ოცნება.

პარიზი. 14 თებერვალი. „ეკოდეპარი“-მ გამოაქვეყნა ოფიციალური ხასიათის შენიშვნა, რომელიც გადაბეჭდა თითქმის ყველა გაზეთებმა: „უკანასკნელ დღეებში მიღებული იყო ყველა ზომები იმისათვის, რომ გაეხსნათ გზა უშუალო მოლაპარაკებისათვის საბჭოთა მთავრობასა და ხიფრანგეთის შორის. ამ ცდას კავშირი აქვს მაკდონალდის გადაწყვეტილებასთან საბჭოთა კავშირის მთავრობის ცნობის შესახებ, მაგრამ. ამ ცდას აქამდის არავითარი და. დებითი შედეგები არ მოუცია, რაც ხელახლა ამტკიცებს საბჭოთა კავშირის მთავრობის არამეგობრულ დამოკიდებულებას საფრანგეთისადმი.

იტალიური.

საბჭოთა კავშირის საელჩო რომში.

რომი. 14 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცნობის გამო იტალიის ხელისუფლებამ გადასცეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს იორდანსკის რუსეთის საელჩოს სახლი რომში.

შენობის დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ საელჩოში არსებული ძვირფასი ნივთების დიდი უმრავლესობა მოპარული მოპარული ყოფილა ელჩის გირსის მიერ.

შვეიცარიული.

„ერთმანეთს ახჩრებენ“.

ციურიხი. 14 თებერვალი. გაზეთი „პოლიტიკენი“ სწერს: **სახელმწიფოები ერთმანეთს ახჩრებენ** თუ ბავარიაც არ დასთანხმდება გაუქმოს საალყო წესები, კარი და ღია სივი უნდა გადადგეს და ძველი კონფლიქტი საერთო გერმანიის მთავრობასა და ბავარიის შორის ამოწურული იქნება.

ნორვეგიული.

ნორვეგიის მუშათა პარტია საბჭოთა კავშირის ცნობის მნიშვნელობის შესახებ.

ქრისტიანია. 14 თებერვალი, გაზ. „არბეიტერ ბლადეტი“ სწერს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ დაინიშნება შერეული კომისია. **საბჭოთა რუსეთის გამარჯვება ნორვეგიაში არის ნორვეგიის მუშათა პარტიის გამარჯვება.**

მთელი მსოფლიოს მუშები კმაყოფილებით შეეგებენ იმ მომენტის დადგომას, როცა ყველა სახელმწიფოები შესწყვეტენ წინააღმდეგობას საბჭოთა კავშირის ცნობისადმი.

ინგლისური.

საბჭოთა მთავრობის ცნობის ხაქმეში. სწრაფად ინგრევიან ცილადღები და დაუნგრეველი ახლო მომავალში დარჩება მხოლოდ პუანკარეს ცილადელი“.

ნორვეგიული.

ნორვეგიის მუშათა პარტია საბჭოთა კავშირის ცნობის მნიშვნელობის შესახებ.

ქრისტიანია. 14 თებერვალი, გაზ. „არბეიტერ ბლადეტი“ სწერს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ დაინიშნება შერეული კომისია. **საბჭოთა რუსეთის გამარჯვება ნორვეგიაში არის ნორვეგიის მუშათა პარტიის გამარჯვება.**

მთელი მსოფლიოს მუშები კმაყოფილებით შეეგებენ იმ მომენტის დადგომას, როცა ყველა სახელმწიფოები შესწყვეტენ წინააღმდეგობას საბჭოთა კავშირის ცნობისადმი.

ამერიკული

ევხკობიან რევოლიუციას და მოსკოვის საბჭოთა კავშირის ცნობას.

ტოკიო. 12 თებერვალი. შესდგა იაპონიის შრომის ფედერაციის კონგრესი, რომელსაც დაესწრო 170 დელეგატი. სამი დღის კამათის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუციები: 1) ბრძოლა იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს სოციალისტების დევნას, 2) მასიურ სპორტულტურ მიტინგების მოწყობას შესახებ კორეაში მომხდარ პოგრომების წინააღმდეგ და 3) **საბჭოთა კავშირის მთავრობის დაუყოვნებლივ ცნობისა** და აგრეთვე შრომის დაცვის და გლეხობასთან თანამშრომლობის მთელ რიგ საკითხების შესახებ.

სხვადასხვა

სპანეთი

რეპუბლიკანურ პლატფორმაზე თეორია. 14 თებერ. დამოუკიდებელ დემოკრატების პარტია ტადდაიონის მეთაურობით აშკარად სდგება რესპუბლიკის პლატფორმაზე და აწარმოებს აგიტაციას სპარსეთის რესპუბლიკად გაერთიანების სასარგებლოდ.

მეჯლისში პარტიას ჰყავს თავის წევრების თითქმის 50 პროც.

ორგანო „სორხი“ მოუწოდებს სპარსეთის ხალხს კაჯარების დინასტიის ჩამოგდებისაკენ, რომლის ბატონობამ გადააქცია სპარსეთი პატარა, გაკოტრებულ სახელმწიფოთ.

საფრანგეთში.

ფინანსიური მდგომარეობა.

პარიზი. 14 თებერვალი. დეპუტატთა პალატაში დაიწყო განხილვა მთავრობის კანონ-პროექტის უფლებათა გაფართოვების შესახებ; ეს კანონ-პროექტი გულისხმობს გადასახადების გადიდებას. კონსერვატორების ლიდერმა ტარდიემ გაილაშქრა მთავრობის საფინანსო პოლიტიკის წინააღმდეგ და აღნიშნა ქვეყნის ფინანსიური მეურნეობის მოუწესრიგებლობაზე; ტარდიემ განაცხადა, რომ კანონ-პროექტის მიღებას შედეგათ მოყვება ყველა უკმაყოფილო ელემენტების გაერთიანება კომუნისტების გარშემო.

ჟორეს ლევიმ კომუნისტურ ფრაქციის სახელით შეიტანა შესწორება, რომელიც გულისხმობს სამხედრო მოგების თანხით შეძენილ უძრავ ქონების ექსპროპრიაციას და ნახშირის მრეწველთა მოგების კონფისკაციას. კომუნისტების შესწორება უარყოფილ იქნა პალატის უმრავლესობის მიერ.

პრესა კომენტარიებს უკეთებს ტარდიეს სიტყვას და ამბობს, რომ მას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს.

ევროპის პოლიტიკა მთავრობაზეა პარიზი. 14 თებერვალი. ოპოზიციაში დგომის გამო მთავრობის მიმართ, რადიკალების სპარლამენტო ფრაქციიდან გამოვიდენ მთელი რიგი დეპუტატები—რადიკალები.

რადიკალების სენის ფედერაციამ ერთხმად მოიწონა იმ სპარლამენტო ჯგუფის პოლიტიკა, რომელსაც ერიო ხელმძღვანელობს და დაადგინა მოითხოვოს პარტიის ამხანაკომის სახელით გამორიცხული იქნენ პარტიიდან მინისტრები: სარო და ლაფონი, რომელთაც ხმა მისცენ კ.ნონ-პროექტს მთავრობის უფლებათა გაფართოვების შესახებ.

ლოზუნგები

წითელი არმიის ექვსი წლის თავისებური იუბილეის გამო.

1. შეუსუსტებელი ყურადღება წითელ არმიის!

ყოველმხრივი ზრუნვა წითელ არმიიდან შინ დაბრუნებულებზე!

მაქსიმუმი ყურადღება წითელი არმიის შვილებს!

2. 6 წლის ბრძოლამ და შრომამ რუსეთის კომპარტიის დროშის ქვეშ აიძულა კაპიტალისტები ვეცნობით იურიდიულად!

3. ბურჟუაზიული მსოფლიო იძულებულია გვიცნოს ჩვენ იურიდიულად, მაგრამ ჩვენ მაინც ვიმყოფებით ბურჟუაზიულ გარემოცვაში!

განამტკიცეთ წითელი არმიის საომარი ძლიერება!

4. წითელი არმია სდგას მშვიდობიანობის და შრომის სადარაჯოზე!

რაც უფრო ძლიერია წითელი არმია, მით უფრო სანგრძლივი იქნება ჩვენი შესვენება!

5. წითელ არმიას შეაქვს კულტურა სოფელში!

6. წითელი არმია არის მუშების და გლეხების შეიარაღებული კავშირი!

7. წითელი არმია არის შეიარაღებული ლენინიზმი!

8. წითელი არმია არის მუდმივი დარაჯი ამიერ-კავკასიის მშრომელების: იგი იცავს მათ მტაცებელ კაპიტალისტებისაგან, რომლებიც ხელს აშვერენ ამიერ-კავკასიის ნავთისა, შავიქვისა და ამიერ-კავკასიის სახ. სოც. რესპ. ფედერაციის აუარებელ ნედლი მასალის სიმდიდრისაკენ.

ა. ბ. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის საავიტ.-საგარო. განყოფილება.

ორშაბათს, 18 თებერვალს
საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის თეატრში
მოწვეულია

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს კლენუმი

საფაბრიკო-სახელოსნო კომიტეტების, ადგილკომების, პროფკავშირთა გაერთიანებების და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. **ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენება საბჭოთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობის შესახებ.**
2. **ამხ. ლენინის დახოფლავების შესახებ მოსკოვში.**

საბჭოს სხდომის შემდეგ ხაჩვენებია იქნება ამხ. ლენინის დასაფლავების დღეს ქ. ტფილისში მომხდარ დემონსტრაციის კინო-სურათი.

საბჭოს თავმჯდომარე დ. ხუხუაშვილი.

ტფილისის მუშათა და გლეხთა საბჭოს არმასრულებელი კომიტეტი

საბჭოს წევრების რეგისტრაციის უკანასკნელ დღეთ აცხადებს 25 თებერვალს, იმ ამხანაგებს, რომლებიც დღემდის არ გატარებულან რეგისტრაციაში მანდატის მისაღებათ ვთხოვთ გამოცხადდენ აღნიშნულ 25 რიცხვამდე, რის შემდეგ მანდატების გაცემა შეწყვეტილი იქნება.

კრ. 902 1—1 **ადმასკომი.**

ლენინის ხსოვნისათვის

დანიაში

საყველთაო დემონსტრაცია.

კოპენჰაგენი. 15 თებერვალი. **ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ საყველთაო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 30000 მუშამ. მიუხედავად დემოკრატების წინააღმდეგობისა, კოპენჰაგენის მთელ მშრომელი ხახა, სოციალ-დემოკრატული პარტიის 65 პროცენტის მითვლით, მონაწილეობას ღებულობდა** ბევ დემონსტრაციაში კომპარტიის დროშის ქვეშ. გამართულმა მიტინგმა ვერ დიტეა ყველა მოსული მუშები და ხალხი შეიქნა პირველ პირველ მიტინგების გამართვა ქუჩებში. დემონსტრაცია გაეშართა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის შენობისაკენ თანაგრძნობის გამოსაცხადებლად; ამის შემდეგ მუშები დაიშალნენ ინტერნაციონალის სიმღერით და ხმებით: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!“

ფინანსები გაჯანსაღება

ფულის რეფორმის გარშემო.

მოსკოვი. 16 თებერვალი. ფულის ტრიალის მოსალოდნელ რეფორმის გამო, რუსეთის დეპუტათა საავენტოს თანამშრომელის საუბარი ჰქონდა ზოგიერთ საბჭოთა ფინანსიურ მოღვაწეებთან. **სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრმა ამხ. კაცენელენბოგენმა** განაცხადა, რომ სახელმწიფო ბანკის სავალუტო მარაგი სავსებით უზრუნველყოს ჩერვონეცის კურსის სათანადო დონეზე შენარჩუნებას.

სამრეწველო ბანკის გამგეობის თავჯდომარემ **კანდელაკმა** განაცხადა, რომ მეტად სასურველია რაც შეიძლება დაჩქარებით და სისწორით იქნეს გამორკეული საბჭოთა ფულის ნიშნები და გამოსყიდეს ფასი, რადგან ეს შეიჩერებს საბჭოთა ფულის ნიშნების კურსის შემდეგ დაცემას, რომელიც აროთულება საკმაო ბრუნვას ბანკების საერედიტო სისტემაში.

სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის გამგეობის თავჯდომარემ **ამხ. კუტუზოვმა** განაცხადა, რომ მეტად ვალიუტის შემოღება საბჭოთა ფულის ნიშნების მაგივრად შესაძლებელია დაჩქარდეს, თუ ბანკებს მიეცემა ნება ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს.

ამხ. ტროცკის ჯანმრთელობა

მოსკოვი. 16 თებერვალი. წითელ-პრესნის ახალგაზრდათა კომკავშირის რაიონულ კრებაზე ამხ. სემაშკომ განაცხადა, რომ ტროცკის ემჩნევოდა ძლიერი ინფლუენცია, რომელიც ჩვეულებრივ გავლენას ახდენს ფილტვებზე. ფიქრობდენ, რომ ის ამოკმედებდა ამხ. ტროცკიზეც, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ მას ჯანსაღი ფილტვები აქვს, ამიტომ ავადმყოფობა მათზე არ გადასულა. ავადმყოფობამ მიუხედავად ფილტვებზე, შეიჭრა ბრონხიალურ ჯირკვლებში, რომელნიც ფილტვებს შეა მდებარეობენენ, რის გამო დაიწყო ჯირკვლების კატარალური პროცესი. ეს დამტკიცა გამოკვლევამ რენტგენის სხივებით.

ტროცკი საექიმოთ გაემგზავრა მოსკოვის ახლოს და არულდება ექიმების ჩრევას, მაგრამ მისი ჯანმრთელობა არ გაუმჯობესდა, რადგან ბრონხიალურ ჯირკვლებზე გავლენას ახდენდა ცივი ჰაერი, რომელსაც სუნთქავდა ის აივანზე წამოწოლილი ექიმების ჩრევის თანახმათ. ტროცკი გაემგზავრა სამხრეთში და მისი ჯანმრთელობა იქ უმჯობესდება და მოსალოდნელია სრული გამოკეთება ექიმების მიერ დანიშნულ ვადაზე ადრე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტროცკი ახლო მომავალში სათავეში ჩაუდგება ისევ წითელ არმიას და დაიწყებს მუშაობას რუსეთის კომპარტიის ცეკაში.

ზითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ბამბის ნათესების გაფართოვება.

მოსკოვი. 15 თებერვალი. პროფესორმა კონდრაშევმა მოხსენება გააკეთა სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმში, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ბამბის ნათესის სივრცე მიმდინარე წლის საკავშირო რესპუბლიკებში 150,000 დესეტინადან 314,000 დესეტინამდე გაიზრდება. ჩვენში გაპენტილი ბამბა ჯდება ფუთი 25 მანეთი, უცხოეთისა კი 35 მან. მებამბეობის მთავარმა სამმართველომ საკავშირო რესპუბლიკის ფარგლებში დაამზადა 2.500.000 ფუთი გაპენტილი ბამბა.

ხრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ სახჭის ცირკულიარი შრომის ხელფასის შესახებ.

მოსკოვი. 16 თებერვალი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო ცირკულიარში, რომელიც მიმართულია ყველა საკავშირო მთავრობის ადგილობრივებისადმი, წინადადებას იძლევა იმ შემთხვევაში, როდესაც შრომის ხელფასი დაწესებულია ჩერვონცის მანეთებში, დაიბეჭდოს ხელფასის ფურცლები ორ ენაზე: რუსულ და ადგილობრივ ენაზე.

გადახახადისაგან განთავისუფლება.

მოსკოვი. 16 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის წესდება. ბანკის მიზანი განსაზღვრულია, როგორც ხელის შეწყობა საბჭოთა კავშირის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ერთიანი სისტემის შექმნის გზით. ბანკის ძირითადი კაპიტალია—40 მილ. ოქროს მანეთი, გამოშვებული იქნება 400.000 აქცია, 100 მან. ღირებულების თვითეული.

გადახახადისაგან განთავისუფლება.

მოსკოვი. 16 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა განათავისუფლოს მიმდინარე წელში ყოველგვარ გადასახადისაგან ვაჭრობა ხარკოვის და კიევის ბაზრობაზე.

ამერიკული

ევხკობიან რევოლიუციას და მოსკოვის საბჭოთა კავშირის ცნობას.

ტოკიო. 12 თებერვალი. შესდგა იაპონიის შრომის ფედერაციის კონგრესი, რომელსაც დაესწრო 170 დელეგატი. სამი დღის კამათის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუციები: 1) ბრძოლა იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს სოციალისტების დევნას, 2) მასიურ სპორტულტურ მიტინგების მოწყობას შესახებ კორეაში მომხდარ პოგრომების წინააღმდეგ და 3) **საბჭოთა კავშირის მთავრობის დაუყოვნებლივ ცნობისა** და აგრეთვე შრომის დაცვის და გლეხობასთან თანამშრომლობის მთელ რიგ საკითხების შესახებ.

ინგლისური.

საბჭოთა მთავრობის ცნობის საქმეში. სწრაფად ინგრევიან ცილადღები და დაუნგრეველი ახლო მომავალში დარჩება მხოლოდ პუანკარეს ცილადელი“.

ნორვეგიული.

ნორვეგიის მუშათა პარტია საბჭოთა კავშირის ცნობის მნიშვნელობის შესახებ.

ქრისტიანია. 14 თებერვალი, გაზ. „არბეიტერ ბლადეტი“ სწერს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ დაინიშნება შერეული კომისია. **საბჭოთა რუსეთის გამარჯვება ნორვეგიაში არის ნორვეგიის მუშათა პარტიის გამარჯვება.**

მთელი მსოფლიოს მუშები კმაყოფილებით შეეგებენ იმ მომენტის დადგომას, როცა ყველა სახელმწიფოები შესწყვეტენ წინააღმდეგობას საბჭოთა კავშირის ცნობისადმი.

მაკდონალდის დეკლარაციის შემდეგ

კამათი ლორდთა პალატაში

კერზონი და გრეი მაკდონალდის დეკლარაციის შესახებ.

ლონდონი. 14 თებერვალი. ლორდთა პალატაში მაკდონალდის დეკლარაციის შესახებ გამართულ კამათის დროს კერზონმა განაცხადა: „მთავრობამ დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც იცნო საბჭოთა მთავრობა წინასწარი გარანტიების გარეშე“.

ლორდ გრეი ფიქრობს, რომ „სანამ საბჭოთა მთავრობის ცნობა მოგვცემდეს საბოლოდ შედეგს, საჭიროა სრული შეთანხმება ორთავე სახელმწიფოს შორის მეგობრულ ურთიერთობის დამყარების და რეგულარ თანაშრომლობის შესახებ. საჭიროა, რომ საბჭოთა მთავრობამ შესწყვიტოს პროპაგანდა. თუ იურიდიულად ცნობა შემდეგაც გაგრძელდება საბჭოთა პროპაგანდა და ამაში შემჩნეული იქნება საბჭოთა კავშირის ელჩი, მან უნდა დასტოვოს სახელმწიფო 24 საათში.“

დაახლოებით ამავე პოზიციაზე იდგა ლორდ ბალფურიც.

ასკვიტის გამოხვედა.

ლონდონი. 14 თებერვალი. პარლამენტში გამართულ კამათის დროს ლიბერალების ბელადმა ასკვიტმა განაცხადა, რომ ის არ ეზიარება ბალდვინის აზრს რუსეთის საკითხის შესახებ; მან კმაყოფილება გამოსთქვა მაკდონალდიის დიპლომატიით საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობის შესახებ.

ასკვიტმა აღნიშნა, რომ თავისთავად ცნობა კიდევ არ წარმოადგენს დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას, მაგრამ ეს ცხადია, გაადვილებს მომავალ მოლაპარაკებას მთელ რიგ წარმოშობილ საკითხების გარშემო.

ასკვიტმა, სხვათა შორის, გააკრიტიკა მთავრობა იმ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელიც ასე ცხადად ჩანს ბალფურის ნათქვამიდან. ასკვიტის აზრით, მთავრობა ვალდებული იყო მოეთხოვა საბჭოთა მთავრობისაგან ბოდიშის მოხდა ამ ინციდენტისათვის.

საბჭოთა კავშირის ცნობა

ევროპის თანამედროვე პოლიტიკური საერთაშორისო მდგომარეობა ხასიათდება ერთი მთავრებით, და სახელდობრ ყველა ბურჟუაზიულ კანონების მიხედვით ცნობა იმისა, რასაც ამ ეჭვსი წლის განმავლობაში არ სცნობდენ. ის, რაც წინად უკეთეს შემთხვევაში, იწვევდა დამცინავ ღიმილს, როცა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ცნობის შესახებ ლაპარაკობდენ, ხელისუფლების, რომელიც ასე უბრალად მოეპყრა მეფის ტახტს და თვით მეფეს და ბოლო მოუღო ექსპლოატატორთა ბატონობას,—დღეს „აღიარებულ“ ფაქტად ითვლება. ინგლისის მიერ ცნობა არის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი. ევროპის ცხოვრების წიგნში შეტანილია ახალი ფურცელი, მსოფლიო ისტორიამ გადაბიჯა ახალ ეტაპს.

რევოლიუციის მომწიფება ევროპაში

კაპიტალისტურ ქვეყნებში არის სურვილი აღადგინონ კაპიტალიზმის ყოფილი ძლიერება ვერსალის ხელშეკრულების შემწეობით. მაგრამ ვერსალის ხელშეკრულება, რომელმაც აცნობა მსოფლიოს „დემოკრატიულ კაპიტალიზმის“ ახალი ხანა, ნაგლეჯ ქაღალდათ გადაიქცა, რაც ამტკიცებს იმას, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოს მოღვაწეებს აღარ შესწევთ ძალა დაამყარონ მშვიდობიანობა ევროპაში. ვერსალის ხელშეკრულება აღმოჩნდა ახალ გამოსავალ წერტილად შეუწყვეტელ ომისა, რომელიც უნდა დამთავრებულიყო ბურჟუაზიულ მსოფლიოსათვის ახალი აღმოჩენა და ავტორის აზრით, დაამყარებდა ცოდვილ ქვეყანაზე დემოკრატიულ თანასწორობას და სამართლიანობას, თუ შეიძლება ამ ბუზღების შინაარს იმას, რაც სინამდვილეში მოხდა,—დავინახავთ, რომ ეს 14 მუხლი დაწერილი იყო დასაცინავად კაცობრიობაზე და კაცთმოყვარეობაზე. ის, რაც დასავლეთში ხდება, უნდა დაუპირდაპირდეს იმას, რასაც დღეს ადგილი აქვს ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც დღეს შეჭრილია ახალი, მუშურ-გლეხური ხელისუფლება, რომელიც სულ სხვა გზით მიდის და მართლაც უზრუნველჰყოფს ერებისათვის მშვიდობიანობას და თავისუფალ განვითარებას.

ანტანტის დაშლა

რამ შესცვალა ვერსალის ხელშეკრულება?

გერმანია იმყოფება აჩემად განსაკუთრებულ პირობებში. იგი არის დღეს ის ძვალი, რომელიც იწვევს განხეთქილებას ანტანტის ორ ქვეყნის შორის—საფრანგეთი და ინგლისი ვერ თანხმდებიან დღეს თავიანთ დამოკიდებულებაში გერმანიისადმი. „გულითად ხელშეკრულებას“ მათ შორის საფუძვლად უდევს ეკონომიური მიზნები და ინტერესები ხოლო ეს ინტერესები ამ ჟამად შეურიგებელია.

რამდენადაც ვერსალის ხელშეკრულებამ საშუალება მისცა საფრანგეთს ფეხ ქვეშ გაეთელა და გაეხადგურებია გერმანია იმდენად ეს გახდა ევროპის ნაპოლეონიზაციის დასაწყისად. გერმანიის განადგურების შემდეგ, საფრანგეთი იმდენად გაძლიერდა, რომ ინგლისს უნდა დაბადებოდა შიში თავის არსებობისათვის. ცენტრალურ ევროპის ხელში ჩაგდება, გერმანიის საამომდებლო ტ დამშეშავებელ მრეწველობის, რურის ნახშირის და სხვ. ხელში ჩაგდება საფრთხეში აყენებს ინგლისს, და ინგლისს, რომელმაც პირველად აღიმღლა ბმა გერმანიის წასახრჩობად, დღეს გამოდის თვით გერმანიის დამცველის როლში, რათა საფრანგეთი არ გახდას გეგემონათ კონტინენტალურ ევროპაში. თავის მხრივ საფრანგეთი სცდილობს შეასუსტოს ინგლისის გავლენა აღმოსავლეთში, ეარშიყება რა ოსმალეთს და სხვა. ყველაფერი ეს ამტკიცებს იმას, რომ ანტანტის ბანაკში უთანხმოება სუფევს და, მაშასადამე, არ არსებობს ნაშანი თანასწორობისა ორივე ქვეყნის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს შორის. და ვერავითარ პრტყეულ-პრტყეულ სიტყვებს არ შეუძლია აღადგინოს ევროპის წონასწორობა, რომელიც 1914 წელში დაირღვა.

მდგომარეობა გერმანიაში

განსაკუთრებულ ინტერესს დასავლეთში იწვევს გერმანია, რომელშიაც განასკეულია ევროპის ხვალინდელ ბედის კვანძი.

ძლიერი გერმანია საბჭოთა ქვეყნებთან გაერთიანებით იქნებოდა ისეთი სერიოზული ფაქტორი ევროპის რევოლიუციონურ ფერისცვალების საქმეში, რომ ასეთი კავშირი მომაწყვიტებელი იქნებოდა სრულიად ახალ ისტორიულ ხანის დასაწყისისა. ამიტომ საკითხი გერმანიაში რევოლიუციის შესახებ არის აქტუალური საკითხი მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

გერმანიამ, რომელმაც განვლო ყველა ეტაპები შეიდემანიდან და ჰაზენდან—გენერალ სემტამდე, უკვე დაჭკარგა იმედი იმაში, რომ შესაძლებელია მშვიდობიანობის მიღწევა ბურჟუაზიულ ცივილიზაციის საშუალებით. გერმანია მოტყუებულია ვერსალის ზავით, მოტყუებულია ბურჟუაზიული მთავრობების მიერ—და მას არ აქვს არავითარი გამოსავალი თავის მდგომარეობიდან პროლეტარულ რევოლიუციის გარეშე. გერმანიას ან სული უნდა ამოხდეს, ან იგი უნდა წავიდეს პროლეტარულ რევოლიუციის გზით.

და გერმანიაში არსებობენ პირობები პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

ნოემბრის ამბებმა ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც მასზე ვამყარებდით.

გერმანიის მუშათა კლასმა ვერ შესძლო ისე ადვილად დაეგზო ბურჟუაზიის ბატონობა, როგორც ეს საჭიროდ იყო და როგორც მასზე ვამყარებდით იმედებს. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ჩვენ დღეს ვხედავთ გერმანიას გზაჯვარედინზე. გერმანიის ოცძლიერიანი მუშათა კლასი არ იყო დამარცხებული, იგი უცდის შესაფერ მომენტს, რათა დაიწყოს შემდეგი გადამწყვეტი ბრძოლა უკეთეს პირობებში და გაიმარჯვოს. გერმანიის პროლეტარიატის იმედია ის განწყობილება, რომელიც შექმნა ცნობამ გერმანიის რევოლიუციის შესახებ კომინტერნში. მიცემული იყო დაპირება, რომ ჩვენ მზად ვართ არა მარტო მორალურ თანაგრძნობით შევხვდეთ მას, არამედ გავიღოთ მატერიალურიც და სხვა ყოველგვარი მსვერპლი. ჩვენ თავის დროზე მივიღეთ ზომები გამოგვერკვია საკითხი იმის შესახებ, რა პოზიციას დაადგებიან იმ სახელმწიფოები მთავრობები, რომლებიც ჩვენს და გერმანიის შორის იმყოფებიან. ჩვენ ვკრეფდით ცნობებს, როგორ მოიქცევიან ეს მთავრობები იმ შემთხვევაში, თუ გერმანიაში ძალაუფლების სათავეში დადგება პროლეტარიატი: ეს სახელმწიფოები კიდევ აღმართული ჩვენს შორის თუ გახდებიან ხიდად? რა თქმა უნდა, ჩვენ არ მივცემდით თავის თავს ნებას ბედის ანაბარად მიგვეტოვებია გერმანიის ძლევამოსილი პროლეტარიატი.

ეს ამტკიცებს იმას, რომ 1924 წ. მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის საქმე ისევე მტკიცეა, როგორც წინად, რომ, როგორც წინად, საბჭოთა ხელისუფლება თავის თავს მოვალედ სთვლის იდგეს მშრომელთა რევოლიუციის სადარაჯოზე.

ჩვენი მდგომარეობა

ამ ურთიერთობათა შედეგს წარმოადგენს ის, რასაც ჩვენ ვხედავთ ეხლა. ბურჟუაზიულმა ევროპამ შეიცავლა პოზა. ინგლისის შემდეგ ჩვენი ცნობის დაჩქარა იტალიამ—და იტალია სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ ეს მან ჩაიდინა ინგლისზე უფრო ადრე. დღეს დეპუშამ გადმოგვცა ამბავი ნორვეგიის მიერ ჩვენი ცნობის შესახებ. ავსტრია, ჩეხოსლოვაკია და სხვ. აგრეთვე აჩქარებენ ცნობას. ყველანი ჩქარობენ და ანგარიშობენ იმას, თუ რა ზარალი მიუვათ მათ ცნობის დაგვიანებით.

რევოლიუციის ხვეულებით

უკანასკნელი მოვლენა—მუშათა მთავრობა ინგლისში — ამტკიცებს იმას, რომ რევოლიუცია ვითარდება. ცხადია, მაკდონალდის მთავრობა შემდგომაც არა პროლეტარიატის ხატად და მზგავსად. მაგრამ მაინც მუშათა მთავრობა ინგლისში—ეს მთელი რევოლიუციაა ინგლისის პირობებში. ფიქრი ასეთ მთავრობაზე რამოდენიმე წლის წინად უტოპიურად გეგონებოდათ. ის მოწმობს იმავე ვერსალის ხელშეკრულების კრახს, კავშირის, კრახს ბურჟუაზიულ ბანაკში, კრახს კონსერვატორების და ლიბერალების ბლოკის. ამ ბლოკის აღსასრულმა, უთანხმოებამ კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის, ჩხუბმა ბურჟუაზიულ ბანაკში—საშუალება მისცა მაკდონალდს სათავეში ჩასდგომოდა ხელისუფლებას. ეს პატარა ნაბიჯია წინ რევოლიუციის გზაზე, მაგრამ ის, როგორც სხვა დანარჩენი, მოწმობს, რომ ევროპის ბურჟუაზიის სამაგრე თანდათანობით და ნელნელა იგრევა.

არც მაკდონალდი და არც მისი პარტია არ არიან პროლეტარული რევოლიუციის მოციქულნი. მათ შეუძლიათ მხოლოდ ბურჟუაზიის საქმის გაკეთება. ისინი ფიქრობენ არა სოციალიზმზე, არამედ იმაზე, რომ გამოსტყუონ ბურჟუაზიას რაიმე დათმობა მუშის სასარგებლოდ. ისინი უმეჯნელია, მოატყუებენ მუშათა კლასს, მაგრამ სამაგიეროდ ეს იქნება პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების აღორძინების და მის მიერ თავის ნამდვილ პროლეტარულ ამოცანების გაგების ეტაპი.

მაკდონალდის მთავრობა ითამაშებს ინგლისში იმ როლს, რომელიც ითამაშა კერენსკის მთავრობამ რუსეთში. რის მოცემა შეუძლია მაკდონალდს? მუშები მოელიან მისგან თითქმის ყველა თავის საკითხების გადაჭრას და მათ მოთხოვნილებების ეს არის ახალი ეტაპი, რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ პროლეტარული რევოლიუცია ცნობილია, როგორც ფაქტი და ძალა.

ინგლისური.

საბჭოთა მთავრობის ცნობის საქმეში. სწრაფად ინგრევიან ცილადღები და დაუნგრეველი ახლო მომავალში დარჩება მხოლოდ პუანკარეს ცილადელი“.

ნორვეგიული.

**ნორვეგიის მუშათა პარტია საბჭოთა კავშირის

ประกาศกรมการค้าภายในเรื่องการขึ้นทะเบียนผู้ประกอบการค้าน้ำมันเชื้อเพลิง

ตามที่กรมการค้าภายในได้ประกาศกำหนดให้ผู้ประกอบการค้าน้ำมันเชื้อเพลิงทุกรายต้องขึ้นทะเบียนกับกรมการค้าภายในภายในวันที่ 31 ธันวาคม 2567 นั้น

เพื่อให้การขึ้นทะเบียนเป็นไปด้วยความเรียบร้อย กรมการค้าภายในขอแจ้งรายละเอียดเพิ่มเติมดังนี้

1. ผู้ประกอบการที่ยื่นคำขอภายในวันที่ 15 ธันวาคม 2567 จะได้รับใบรับคำขอชั่วคราวทันที

2. ผู้ประกอบการที่ยื่นคำขอหลังวันที่ 15 ธันวาคม 2567 อาจได้รับใบรับคำขอล่าช้า

3. ผู้ประกอบการที่ไม่ขึ้นทะเบียนภายในกำหนด จะถูกระงับการจำหน่ายน้ำมันเชื้อเพลิงจนกว่าจะขึ้นทะเบียนแล้วเสร็จ

4. ผู้ประกอบการที่ขึ้นทะเบียนแล้ว ต้องแสดงใบรับคำขอชั่วคราวหรือใบอนุญาตที่จุดจำหน่ายในที่เปิดเผยให้ประชาชนเห็นได้ชัดเจน

5. ผู้ประกอบการที่มีข้อสงสัยหรือต้องการสอบถามเพิ่มเติม สามารถติดต่อได้ที่สายด่วน 1569 หรือที่เว็บไซต์ www.dit.go.th/oil

ประกาศ ณ วันที่ 1 ธันวาคม 2567

(ลงชื่อ) ประสิทธิ์ วงศ์ทองดี
อธิบดีกรมการค้าภายใน

ვეუბნები სიმონენკას

ბევრი რამ გვაკლია.

(ამხ. კანონის სახელმძღვანელო საკარნახო საფაბრიკო სასწავლებელი).

ვდგებით დილას ადრე. არა გვაქვს პირსაბანები. არ არის საპონი. პირი ვერ დაგვებანია.

სასადილოში მიღებულ პურით და შაქრით მივდივართ ჩაის დასალევად. ჭიქების (თასების) უქონლობის გამო უხერხულ მდგომარეობაში ვეყარდებით.

8 საათისათვის უკვე სამუშაოდ მივდივართ სახელოსნოებში. ვმუშაობთ რიგ-რიგობით, გამოცვლით.

სასწავლებელში 300 მოწაფეა, დილის 8 საათიდან 12 საათამდე მუშაობს ნახევარი, 150 კაცი და მეორე ნახევარი მეცადინეობს სკოლაში. 12 საათიდან პირველ ნახევარს მეორე ნახევარი სცვლის სახელოსნოებში და ახლა მეორე ნახევარი სკოლაში მიდის სამეცადინოთ.

სახელოსნოებში ძალიან ცუდი განათებაა. ფოთოლი არ არის გაღებული. საჭიროების დროს გვიხდება სირბილი და მეტი დროს დაკარგვა.

და ცივნოის გაწყენის დროს რომ ასეთი შემთხვევა იქნეს, რაღა უნდა ვქნათ?

ნუ თუ შეიძლებელია ავბონიმენტის ფულის გადახდა?

არა გვაქვს სასწრაფო დახმარება.

ჩვენს სასწავლებელში, ისე, როგორც სხვა სახელოსნოებში, ხშირია უნებლიე მარცხები: ხელის გაჭრა, დაშავება, ან სხვა რამე, რისთვისაც არა გვაქვს საჭირო წამლები, სასწრაფო დასახმარებლად, ხშირია შემთხვევები რომ ბევრი ჩვენი მოწაფეთაგანი ბავშვებია 12 წლიდან და უცაბედი დაუკვირვებლობით ცხადია მოხდება რაიმე არასასიამოვნო მოვლენა.

ყველა აღნიშნულ დანაკლისების გამოსწორება საჭიროა. საჭიროა საღსარები. თუმცა წასულ წელთან შედარებით მდგომარეობა ბევრათ გაუმჯობესდა, მაგრამ დეფიციტები მაინც არის. მდგომარეობა უკეთესია, მაგრამ კიდევ უნდა გაუმჯობესდეს, დანაკლისები უნდა შეივსოს.

მუშკორი **მახ.**

მკერვალთა კავშირში

კვირას, 10 თებერვალს საქ ცენტრ. პროფესიონალურ მკერვალთა კავშირის ბინაზედ ამხ. რაჟდენ ჯღმაძეს თავმჯდომარეობით შესდგა იმ მოწიანავ მუშების კრება, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ კავშირის გამგეობის მიერ საგანგებოთ. კრებას დაესწრო 9 კაცი. დღიურ წესრიგში იყო განსახილველად ტფილისის მკერავლათა კავშირის წარსული მოძრაობის მატიანეს შედგენისათვის ტენდენციურად გეგმის გამომუშავება. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ ირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი საისტორიო-საარედაქციო კომისია, რომელსაც დაევალა მასალების შეგროვება აღნიშნულ მატიანეს შესადგენად. კომისიაში არჩეულნი იქნენ შემდეგი ამხანაგები: რაჟდენ ჯღმაძე, გ. ოგანოვი, ი. ლაფაჩი, მიხა აკოფიანი და ნიკო იტრიევი. ამავე კომისიას დაევალა მოწვდება გამოუშვას პრესის საშუალებით იმ მკერავ მუშების მიმართ, რომლებსაც მოეპოვებათ ცნობები ან მოგონებები მკერავლთა წარსულ პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ საქართველოს გასაბუეებამდე, რათა გადასცენ კავშირთან არსებულ საისტორიო-სარედაქციო კომისიას სახელმძღვანელოდ კვირას 24 თებერვლისათვის.

კრების თავმჯდომარე **რ. ჯღმაძე.**

ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ფინანსთა კომისარიატის საყურადღებოდ).

აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს შ. ნ. ბავშვთა კომისარიატმა გასცეს განკარგულება, რათა თავისუფალნი იყვნენ საღებრო გადასახადიდან უმუშევრები, ინვალიდები, პენსიონერები და ა.შ.რეთვე რესპუბლიკის უღარიბესი მკვიდრებნი.

ზემო ჩამოთვლილებს მუდამ სიძეებარი აქვს ლუკმა-პური, და სღერძო მარკის ფულს ვინ მისცემს მათ. სწორეთ ამ უფუნობის და გაჭირვებული ცხოვრების გამო მოკლებულნი არიან ისინი თავისი ტკივილები წერილობით აცნობონ მთავრობას ხშირათ შემოუჩივლიათ ჩემთვის ზემო ჩამოთვლილ დარგის მოქალაქეთ: რა მეშველება, თხოვნა მინდა შევიტანო ამა თუ იმ დაწესებულებაში და უმარკოდ არ იღებენ. ბევრს ვეხვეწებიო, მაგრამ უმარკოთ არ შეიძლებაო.

მაშ აქ რა გამოდის? გამოდის ის, რომ თუ ღარიბი ე. ი. უფუნო ხარ, წერილობით ვერც ერთ დაწესებულებაში განცხადებას ვერ შეიტან და რჩები უნუგეშოდ. ასეთ საქმეს, სასურველია მიეჭცეს დიდი ყურადღება და განთავისუფლებულ იქნენ ზემოთ ჩამოთვლილი პირები საღერ. ბო გადასახადიდან. მე, როგორც მუშა და „სიღარიბის შვილი“, მოწმე აქ მოყვანილ არა სასურველ მოვლენათა, მოვითხოვ მიექცეს დიდი ყურადღება ამ გარემოებას და გამოსწორდეს ეს საქმე მე, შეიძლება, როგორც მუშამ ვერ გავაშუქო ეს საკითხი ნათლად, მაგრამ გულით და სულით ვინც წაიკითხავს ამ ჩემს მუშურს წერილს, ის აუცილებლად გაიგებს ჩემი გულის ტკივილს, და დაადგებს შესაფერის მალამოს.

მუშა იღორ კვიციტაძე.

ამხ. საშა ობოლაძის სასვენლობის ქუჩა,

10 თებერვალს ჰლეხანოვის თეატრში საღამოს 6 საათზე დანიშნული იყო ამხ. ობოლაძის ვერაგულათ მკვლელობის წლის თავის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი. მიუხედავად საშინელი ქარისა, მუშები მაინც დაესწრენ საყვარელ მებრძოლის წლის თავს.

პარტერში ვერ შეამჩნევდით ამ დღეს იმ საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ ბალეტებს და ოპერებს ესწრება. ისხდენ მხოლოდ ის მუშები, რომლებისთვისაც ტ რომელთანაც მუდამ შრომობდა ამხ. საშა.

კრება გახსნა 6 ნახევარ საათზე ამხ. ქავთარაძემ და წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა. სიტყვის დასრულებისას მთავარ სახელოსნოს მომღერალთა გუნდმა შეასრულა სამგლოვიარო სიმღერა. აგრეთვე სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. გოლდაუმმა და იმ მუშებმა, ვისთანაც საშას უხდებოდა მუშაობა და დაწერილები იცოდენ მისი წარსული. ყოველი ორატორის სიტყვის დასრულებისას, სახელოსნოს ორკესტრი ასრულდა სამგლოვიარო მარშს. ამხ. ლ. აზრუმელაშვილმა თავის სიტყვაში, მუშების მისამართი სიყვარულის აღსანიშნავად გამოსთქვეს სურვილი, რომ ეფრიეთვის ქუჩას, საიდანაც ამხ. საშამ პირველად გამოიყვანა 25 თებერვალს მცირერიცხოვანი, რაზმი ამიერიდან ეწოდოს „საშა ობოლაძის“ ქუჩა, რაც კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული. კრება დახურა შესაფერი სიტყვით ამხ. ქავთარაძემ. დასასრულ გაიმართა ინტერნაციონალური წარმოდგენა ქართულ და რუსულ ენაზე.

მუშკორი ვაკე.

გუშათა ქრონიკა

— **საჭონელი მუშა მოხამსახურეებისათვის.** ლიანდაგის სამმართველოს ადგილკომმა გადასწყვიტა შეიძინოს ნისიათ „მუშკოში“ და „ზაკტპოდან“ მუშა-მოსამსახურეებისათვის მატერია და საჭირო სურსათი.

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** დღეს, 17 თებერვალს პლეხანოვის თეატრში ადგილობრივი დრამატიული დასის მიერ დადგმული იქნება ოთხმოქმედებიანი დრამა „ბოშა ქალი ზანდა“.

— **სამკითხველო.** სტალინის კოოპერატივთან არსებულ სამკითხველოში მეორე ოთახში გადასვლის გამო დროებით მოქმედება შეწყვეტილია.

მუშკორი „ეჟა“.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

მეტყველი მუშას.

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, ამხანაგო, თქვენ გაინტერესებთ საზოგადოდ, თუ ვინ არიან სწავლის ფულის გადასახადისაგან განთავისუფლებულნი როგორც უმაღლეს, ისე საშუალო სასწავლებლებში, და, კერძოდ, ხართ თუ არა თქვენ, როგორც პროფკავშირის წევრი, რომლის თვიური ხელფასი არ აღემატება საქონლის 25 მანეთს, აღნიშნული გადასახადისაგან თავისუფალი?

პასუხი:

თანახმად ხ. ხ. ნ. ნ. კ. განათლების ხახ. კომისარიატის დადგენილებისა № 31. (იხ. „კომუნისტი“ 1923 წ. 1 ნოემბრის) 1923—1924 სასწავლო წელში სწავლის ფულის გადასახადისაგან სრულებით თავისუფალნი არიან:

ა) დამსახურებულ რევოლიუციონერთა შვილები;

ბ) სამოქალაქო ომში აქტიურად მონაწილეობის მიმღებთა შვილები;

გ) წითელარმიელთა და წითელ არმიის პოლიტმუშაკთა შვილები;

დ) წითელ-არმიის და ფლოტის დაჭრილ-დასახიჩრებულთა შვილები და შრომის ინვალიდების შვილები;

ე) ყველა ტიპის სასკოლო მუშაკნი და მათი შვილები;

ზ) სახელმწიფო პენსიონერთა შვილები;

ი) უღარიბეს გლეხთა შვილები, თუ კი მათი სიღარიბე დადასტურებული იქნება ადგილობრივი აღმასკომების მიერ.

თ) პროფკავშირების წევრნი (ამ შემთხვევაში თქვენც) და მათი შვილები სწავლის ფულის გადასახადისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მათი შრომის ხელფასი (კერძოდ თქვენიც) თვიურად არ აღემატება 25 საქონლის მანეთს.

სტუდენტ მუშას.

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ მსახურებდით ტფილისის ერთ-ერთ სტამბაში, სადაც თქვენ გიხდებოდათ ზედმეტ საათებში მუშაობა ყოველდღიურად 1—1 ნახ. საათი ორი კვირის განმავლობაში. ამ ზედმეტ საათების ნამუშევრის ხელფასის გაცემაზე თქვენ უარი გითხრათ ადგილობრივმა საკონფლიქტო - სატარიფო კომისიამ, რაც თქვენ უკანონოდ მიგაჩნიათ და ახალი საჩივრით მიმართეთ შრომის სასამართლოს. შრომის სასამართლო კი სრულებით არ შევიდა საკონფლიქტო-სატარიფო კომისიის დადგენილების განხილვაში და იმიტომ უარი გითხრათ ზედმეტი საათების ნამუშევრის მიღებაზე.

ეხლა ჭეკითხებით, თუ ვის უნდა მიმართოთ თქვენ „უშრომარტების და სიმართლის“ აღსადგენად, ვინაიდან საკონფლიქტო-სატარიფო კომისიის დადგენილებას თქვენ სცნობთ უკანონოდ?

პასუხი.

თანახმად ამიერ-კავკასიის შრომ. კომ. დადგენილებისა (1922 წ. 27 ნოემბრის და 16 დეკემბრის თარიღით), თუ საკონფლიქტო-სატარიფო კომისიის დადგენილება-განჩინება გამოტანილია ერთხმად, ის (დადგენილება) ითვლება საბოლოოდ და კანონიერად და მისი განსაჩივრება შეუძლებელია.

იხ. დებულება საკონფ.-შემფასებელ კომისიაზე § 22—23).

ფარტიული და საგზოთა კალენდარი

— ორშაბათს, 18 თებერვალს, პარტკლუბში (კირკის ქუჩა, მუშკორის შენობა) საღამოს 8 საათზე, მოხდება მორიგი სხდომა სალიტერატურო სამხატვრო სექციისა, ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად სამგლოვიარო საღამოს მოწყობის საკითხის განსახილველად: სხდომაზე წაკითხულ იქნება საღამოსათვის განზრახული მთელი სამხატვრო მასალა.

საგანდებულოთ დასწრება ყველა ამხანაგებისა, რომლებიც კი მონაწილეობას მიიღებენ საღამოს მოწყობაში. მათ უნდა წამომიძღვარონ სამოლვაწედ დამუშავებული მასალები.

პარტკლუბის გამგეობა.

— კვირას, 17 თებერვალს დაიწყება საქ. კომპარტ. ტფ. ორგ. ცენტრალურ პარტკლუბში წევრების ჩაწერვა.

ჩაწერვა იწარმოებს ყოველ დღე, პარასკევის გარდა, საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე პარტკლუბში (მუშკოპის შენობა)

კლუბის გამგეობა.

— ს. კ. პ. ტ. ო. მე-3 რაიკომი იწყობა, რომ ორშაბათს, 18 თებერვალს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, მე-3 რაიკომის ბინაზე მოხდება თათბირი მე-3 რაიონის ყველა სამოქალაქო და სამხედრო უჯრედების მდივნების, წითელარმიის მე-6 წლის თავისა და საქართველოს გასაბჭოების მე-3 წლის თავის მოწყობის საკითხის განსახილველად.

სავალდებულოა ყველას დასწრება.

მდივანი ვართაპეტიანი.

— კვირას, 17 თებერვალს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია საქართველოს კ. პ. ტ. ო. მე-3 რაიკომის პარტიული კლუბის განსახ.

კლუბის განსხვა მოწვეულნი არიან მე-3 რაიონის ყველა წევრები, კანდიდატები და აგრეთვე წარმომადგენელნი პარტ.ულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისა.

მდივანი ვართაპეტიანი.

განცხადებები

კვირას, 17 თებერვალს დღის 12 საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია პანაშვიდი

ვერა ლევანის ასულის

თოიძის

გარდაცვალების 40 დღის თავზე, რაც ეუწყებათ ნათესავებ ტ ნაცნობთ

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე თამარა ანტონის ასული ჩიქოვანი, შვილები: საშა, ვალოდია და ნორა ჩიქოვანებისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ დღის, 17 თებერვალს ნაშუადღევის პირველ საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა, პანაშვიდი გარდაცვალებულ

გიორგი ელიზბარის-ძე ჩიქოვანის

კონსტანტინე ილარიონის ძე გურგენაძე, შვილთ ტატიანეთი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ნათესავებს და მეგობრებს პირველი საყვარელი მეუღლის და მეორეს ძვირფასი დედის

ანგელინა ჭარელიძის ასულის

გარდაცვალებას.

დაკრძალვის დღეთ დანიშნულია კვირა 17 თებერვალი 3 საათი ქ. ოზურგეთში

და ანასტასია, ძმა სიმონი, სიძე ე. დიდიძე და დისწული გუგული დიდიძე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი

ივანე სოფრომისძე კიზირიას

გარდაცვალებას. გამოსვენება თებერვლის 17, დღის სამ საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან. დაკრძალვა ნიკოლოზის ვერის სასაფლაოზე

ვ. ი. ლენინის სახელობ. სახელმწ. აკადემიური ოპერის თეატრი

კვირას, 17 თებერვალს, **გუგენოტები**

ანონსი: ოთხშაბათს, 20 თებერვალს

დაისი

ნის. 894 2—2 მზადდება დასადგმელად **ლოენგრინი**

ამინდი ამიერ-კავკასიაში

15 თებერვალი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით): ფოთი .. 7 გრ., სოხუმი 10 გრ., ბათომი... 8 გრ., სამტრედია... 6 გრ., ახალციხე 5 გრ., ჭიათურა... 5 გრ., წიფა... 2 გრ., ბორჯომი... 3 გრ., სურამი... 2 გრ., ტფილისი... 0 გრ., მუკუზანი... 2 გრ., ერევანი... 0 გრ., ბაქო.., 4 გრ.

ღრუბლიანობა: სოხუმში, ფოთში, სამტრედიაში, ბაქოში—სრული. ახალციხეში, სურამში, ტფილისში, მუკუზანში,—ძლიერ დიდი. ჭიათურაში, ბორჯომში, ერევანში—საგრძნობი. სხვა ადგილებში უმნიშვნელო ან სულ მოშენდილია.

ქარის ჯიხურები: ფოთში — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი; ბაქოში —ჩრდილოეთის, ზომიერი. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ არ ქრის.

ნალექი: არსად არ ყოფილა.

ზედაპირული ნიადაგები: ფოთში და ბათომში—სველნიადაგი. ბაქოში და ლენქორანში—ნელი ღ ლვა.

ამინდი საქართველოში: ცვლ. ბადი ღრუბლიანობა, სიმშრალე, ქარ არ არის.

ჩანდილოეთ-კავკასია.

15 თებერვალი, დილის 7 საათი.

კავკაზი. ტემპერატურა:—4 გრ. სრული ღრუბლიანობა, ქარი ა ქრის.

ქვემდარი. ტემპერატურა:—0 გრ. სრული ღრუბლიანობა, ქრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

16 თებერვალი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 4 გრ., მოღრუბლია, ქრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნელი ქარი.

დადგენილება

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმისა

№ 32

1924 წ. თებერვლის „18“

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი № 29 დადგენილების (სავაჭრო საქონლის ნიშნების მოწესრიგების და ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მიზნით გამოცემულის) სათანადო ცხოვრებაში გატარებისათვის, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი ადგენს:

1) ყველა ვაჭარ-მრეწველნი, რომელნიც ხმარობენ საქონლის ნიშნებს, ეტიკეტებს, იარლიკებს, სავაჭრო მარკებს, შტამპებს და სხვას, წარუდგენენ მათ დასამტკიცებლად სტამბებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ს. მ. უ. ს. ეკონომიური სამმართველო დაამტკიცებს ამ ნიშნებს, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის № 29 დადგენილების თანახმად.

2) ყველა სტამბებს, ლიტოგრაფიებს და სხვა პოლიგრაფიულ დაწესებულებებს, ვის განკარგულებაშიაც არ უნდა იყვნენ უკანასკნელნი, შეიძლიათ დაიწყონ ბეჭდვა ამ ნიშნებისა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა დარწმუნდებიან, რომ იგინი დამტკიცებულნი არიან ს. მ. უ. ს. ეკონომიური სამმართველოს მიერ, ზემოხსენებულ № 29 დადგენილების თანახმად.

3) ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე ს. ს. ს. რ. სისხ. სამ. კოდექსის მე-145 მუხლის თანახმად.

საქართველოს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე **ავაკოვი.**

ეკონომიურ სამმართველოს კოლეგიის თავმჯდ. მოადგილე **ხაჭურა.**

კრ. 895. 2—2.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამოცემლობა

აცხადებს საბჭოთა დაწესებულებების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ კომისიის დადგენილებისა,

სახელმწიფო გამოცემლობის გამოცემანი გასცა ვებული გაქვს 1 თებერვლიდან 25%.

პროვინციის და ადგილობრივ პროფკავშირებს, პარტორგანიზაციებს, სკოლებს, ადგილკომებს და მაღაზიებს ეძლევათ 30 პროც. ფასდაკლებით, ბითუმად ნაყიდ წიგნებზე. პროფკავშირებს, კოოპერატივებს, პარტორგანიზაციებს, სკოლებს, ადგილკომებს და სხვა დაწესებულებებს **შეუძლიათ წიგნები შეიძინონ ნისიად—სამი თვის ვადით ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით.**

შეკვეთა მიიღება პირადათ და წერილობით (ფოსტით). ყოველივე შეკვეთას რესპუბლიკის ფარგლებში სახელმწიფო გამომცემლობა ასრულებს

დაუყოვნებლივ, და შეღავათიან პირობებში.

გადაგზავნა ხდება შემკვეთის ხარჯზე. დაწვრილებითი ცნობების მიღება **შეიძლება სახელგამის წიგნის მაღაზიაში** რუსთაველის პროსპექტი № 11. ტელ. 3—89. (კრ. 896—2—2)

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი

(ცეკავშირი)

საბანკო განყოფილება

კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან და კერძო პირთაგან

იღებს: ანაბარს

ვადიანს, უვადოს და მიმდინარე ანგარიშზე

ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ჩერვონეცის კურსის მიხედვით და აგრეთვე ჩერვონეცებით როგორც კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადო ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე კერძო პირთაგან.

იღებს ფულს გადასაგზავნად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში. ფულის გადაგზავნა შეიძლება ჩერვონეცების კურსის მიხედვითაც.

კრ. 894 3—2

დავკარგე პასპორტი, მიღებული ნოვო-მიხაილოვკაში ექვთიმე ლუას ძე ვაკულინის სახელობაზე. ჩათვალოს გაუქმებულად. 556 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა აღებული სენორტის სამართველოდან 1919 წელს № 1501 გრიგოლ ბახვას ძე კაპარავას სახელზე. ჩათვალოს გაუქმებულად. 557 1—1

ტფილისის ქალაქის ბანკი

ბალანსი 1924 წ. 1 თებერვლისათვის

აქტივი. (ნეგატივნებით) აქტივი.

ანგარიშების სახელწოდება	ა ნ ე ბ ი	ანგარიშთა სახელწოდება	ა ნ ე ბ ი
კასსა და მიმდინარე ანგარიში	6,845,587	თანხები	13,268,000
ფასიანი ქაღალდები და ვალიუტა	1,702 486	ანაბარი და მიმდინარე ანგარიში	9,552,536
განაღდების ოპერაციები	7,282,403	სესხი და სჩეტ. სახელდახელო ანგარიში:	
სესხის ოპერაციები	7,398,697	ა) სახლმწიფო ბანკში	1,200,000
სხვადასხვა პირთა და დაწესებულებ.	1,015,128	პროცენტები, საკომისიო და სხვა	1,846
საორგანიზაციო ხარჯები	448,338	შემოსავალი მიღებულია	1,251,547
მიმდინარე ხარჯები	342,785		
დანარჩენი აქტივები	35,005		
	25,273,429		25,273,429

897 1—1

ტფილისის ქალაქის ბანკის გამგეობა.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ჩაის საქმის გამოკვლევა

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საქართველოში ჩაის საქმის ყოველმხრივ გამოსაკვლევად შეადგინა სპეციალისტებისაგან კომისია, რომელიც უკვე გემგზავრა დასავლეთ საქართველოში. კომისიას დავალებული აქვს ადგილობრივად დაათვალიეროს ჩაის პლანტაციები ოზურგეთში, ჩაქვაში და სხვა ადგილებში, გამოარკვიოს ჩვენში ჩაის კულტურის განვითარების და რეალიზაციის პირობები, მნიშვნელობა ჩაის კულტურისა ჩვენს სამეურნეო ეკონომიკაში, ბაზარი და მოთხოვნილება ჩვენს ჩაიზე, ჩაის საცდელი პლანტაციების კავშირი და მნიშვნელობა რაიონებში ჩაის კულტურის განვითარებისათვის და სხვ.

ჩათბის ქარხნის გამოკვლევა

ინსპექციამ გაგზავნა სპეციალისტთა კომისია ჩათბაში. ჩათბის თუჯის გადამდნობ ქარხნის აწონდილი მდგომარეობის ყოველ ბრივ შესწავლად და მისი აოსეობის მიზანშეწონილობის გამოსაკვლევად. კომისიას დავალებული აქვს თავის მუშაობაში მიაღწიოს ფართო მონაწილეობა აღნიშნული ქარხნის მუშებს.

ფარგ. ვაჭრობაში ბანკო ფილიალები

საქ. მ. | გ. ინსპექციამ შოახდინა ჯგუფობრივი ფარმაცევტიული განყოფილების სარევიზიო გამოკვლევა, რომლის შედეგების მოსმენის შემდეგ ინსპექციის კოლეგიამ თავის სხდომაზე რომელსაც დაესწრო საექიმო სანიტარიო პროფკავშირთა ტ ჯგანმართველობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლები, დაადგინა: 1) მოხდეს ფარმაცევტიული განყოფილების რეორგანიზაცია: მოიწყოს ჯგ. სახ. კომ. დამოუკიდებელი სავაჭრო-მომარაგების ორგანო „გრუზგოსმედტორგ“-ი. 2) დაარსდეს ჯ ს. კ. სამკურნალო განყოფილებასთან ფარმაცევტიული ქვე-განყოფილება, რომელსაც დაეკისროს საკონტროლო - სინჩსტოუქციო და საორგანიზაციო ფუნქციები.

3) მედიკამენტების გასაიაფებლად წინადადება მიეცა მომავალ „გრუზგოსმედტორგ“-ს: ა) დაიშიროს უშუალო კავშირი საზღვარგარეთიდან და რუსეთის ფირმებთან, ბ) აღრას სათანადო შუამდგომლობა, ვისთანაც ჯერ არს, რათა მაქსიმალურად შეზღუდულ იქნას საბაჟო გადასახადი მედიკამენტებზე და სრულიად მოეხსნას ქინაქინას, ვ) შესაძლებლობის ფარგლებში შეიქმნეს ბაზები, რომელზედაც თქვენ ძლიერ სწუხართ, „როგორც მაკარატელის პრობლემის ჩქარი გადამჭრელი“, სამაღმასკომისათვის ეკონომიით გათვალისწინებული შემოსავლიდან არ მომხდარა.

2 აპრილს დეკრეტი უფლებას უტოვებს მაზრის ორგანოებს ქალაქის კეთილმოწყობისათვის მოქალაქეებზე გასწერონ საჭირო თანხა, სამაღმასკომმა მოვაჭრეებთან შეთანხმებით ბაღის საჭიროებისათვის ფული გასწერა და იმავე გზით მშვენიერი ორკესტრი მოაწყო (ეს კი თქვენ გამოგრჩათ).

სამელიორაციო საქმეებისათვის და აგროდახმარების მოსაწყობად სენაკის მოქალაქეებზე ფულის გაწერა არსებული კანონების ძალით არ შეიძლებოდა. როგორც ფიქრობთ, მოვაჭრეების სალაროში მეტი ფულის დაგროვება დაჩქარებდა ვითომ მაკრატლის პრობლემის გადაჭრას? ამ კითხვის გარკვევა თქვენზე მიმინდვია.

ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის გაშენებაზე ფიქრიც (მეოცე საუკუნეში) თქვენ სიგიჟეთ ჩიგაჩნიათ, ამიერ-კავკასიის მესვეურებს კი, (ამხ. ცხაკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ლომინაძე, გეგეჭკორი), რომლებმაც მიიღეს უშუალო მონაწილეობა სადგურის შენების დაწყებაში, საჭიროდ აცვნეს იგი. რატომ ხდება ეს ასე? იმ დროს, როდესაც თქვენ ფიქრობთ, რომ ელექტროფიკაცია ეფექტია, ხსენებულ ამხანაგებს და მათთან ჩვენც გვგონია, რომ ხსნა ელექტროფიკაციაშია.

თქვენ მიერ საკითხების წამოყენებამ თვეობით დაიგვიანა. ჭალადიდის ამოშრობის საქმე დაწყებულია, მდინარე ცხენის-წყლის გამაგრებაზე მუშაობა სწარმოებს, კულტურული მეურნეობის შემოღებაზე ღონისძიებებს სამაზრო მთავრობა იღებს და სხვა.

სიტყვა „მაკრატლის“ ხშირად ხსენებით მაკრატლის პრობლემის გადაჭრაში გინდათ დაგვეხმაროთ? დაგამშვიდებთ, ჩვენ არაისოდეს არ გვქონდა მიღებული მაკრატლის პრობლემა, ის მოდგმ გვახსოვდა და გვახსოვს, მაგრამ ისიც კი ვიცით, რომ არც ისე ადვილია ამ კითხვის გადაჭრა, როგორც თქვენ გგონიათ.

სენაკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის შოადგილე:

კ. მელიქაძე.

ფერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ „კომუნისტში“ ამ წერილს.

1905 წლიდან მე ვმუშაობდი სოციალ-რევოლიუციონერების ორგანიზაციაში და იარაღით ხელში ვიბრძოდი ძველი რეჟიმის წინააღმდეგ მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად: ამაზე შორს ვეღარ ვიყურებოდი როგორც მე, აგრეთვე პარტიაც. მაგრამ ღრმა ჩაკვირვებამ და ამ სამი წლის ნათელმა სურათმა, რომელიც დაიხატა ჩემს თვალწინ საქართველოში, სრულებით აშკარად დამარწმუნა, რომ ერთად ერთი ნამდვილი მებრძოლი პარტია საერთაშორისო მუშათა კლასისა არის კომუნისტური პარტია, რომლის უკვდავ ბელადს, ლენინს, გზა აბნეულმა და გაბორკილებულმა ესერების პარტიამ მოწამლული ტყვია „უძღვნა“. ამით ამ პარტიას სურდა სამსახური გაეწია ბურჟუა-კაპიტალისტებთან ერთად და სამამაშო იარაღათ გაეხადა მუშათა კლასი. სწორეთ ამ უსაშინელესი ისტორიული ბოროტების შემდეგ მე ხელი ავიღე ამ ზიზღის მომგვრელ პარტიაზე და ვიდექი დღემდე ყოველი პარტიის გარეშე. ეხლა კი სრულებით გულწრფელად, შეგნებულად და გულახდილად ვაღიარებ, რომ არ არის სხვა არც ერთი სოციალისტური პარტია მსოფლიო პროლეტარიატის მებაირახტრე და მისი გზის მაჩვენებელი, გარდა კომუნისტური პარტიისა და ამიტომ ვამბობ:

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირში დარაზმულ პროლეტარიატის რიგებს და ევროპის მუშათა კლასს, რომელიც სამუდამოთ მძლეწ ბოლეწს საუკუნოებით მასზე დადებულ ხუნდებს.

ვლადიმერ ბაქრაძე.

პროვინციაში

სენაკის სანაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ

(ამხ. ი. ყვანიას წერილის გამო, იხ. „კომუნისტი“ № 32)

ამხ. ყვანიამ თავის წერილით: „რა უფრო ესაჭიროება სენაკის მაზრას“ მრავალ გაუგებრობას მისცა ადგილი სენაკის მაზრის აღ—ს მუშაობის „ეფექტიურ“ მხარეების გაშუქების დროს.

არა სამგვერო კრიტიკის, არამედ მხოლოდ შეცდომების გასწორების მიზნით მინდა ვაცნობო ამხ. ყვანიას შემდეგი:

ამიერ-კავკასიის სახკომისართა საბჭოს დეკრეტით 2 აპრილიდან 1923 წ., მაზრალმასკომების წლიური ხარჯთაღრიცხვის, როგორც „ეფექტიური“, ავრეთვე არა ეფექტიური საქმეებისათვის, ამტკიცებს ა. კ. ფინკომიტეტი. სენაკის მაზრის აღ—ს 1923 წ. ხარჯთაღრიცხვა ხსენებულ ორგანოს მიერ დამტკიცებულია. უნდა ვიფიქროთ, რომ ფინკომიტეტი კანონით გათვალისწინებულ შემოსავალს და ცენტრალურ მთავრობიდან საჭირო დოტაციის დახარჯვას „ეფექტებისათვის“ არ დაუშვებდა.